რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი 25 მარტი 1917 წ.

ერთობა

„თანამედროვე აზრის გამოძახილი“.

ფასი 7 კაპ.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., (ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ აბრუნებს და ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს, ამას შესახებ არც მიწერ—მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Годовинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 10 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 10

დიდი რევოლუცია.

მწუხარებით გულმოკლულნი დედამა იესე ალმასხანის ძე და ნინა სოლომონის ასული ჩარაშიძეები შვილებითურთ: აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ საორმოცო წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის მათი უსაყვარლესი ორი შვილების ქუთაისის მეორე კლასის მოწაფის

ვასილის და ნათელასი

დანიშნულია 28 მარტს ქუთაისში მღვიმევის დედათა მონასტერში, აგრეთვე ულრმეს მადლობას ვსწირავთ ყველა იმ პირთ ვინც დასაფლავების დღეზე პირადის დასწრებით, დეპეშით თუ წერილებით გაგვიზიარა ჩვენი მწუხარება.

2—1

მოქალაქენო!

24, 25 და 26 მარტს ოპერა, დრამა, სახალხო სახლი, ცირკები და „სინემატოგრაფები“ აწყობენ სპექტაკლებს, კონცერტებს და წარმოდგენებს და შემოსავალს სრულად აძლევენ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების განკარგულებაში და პოლიტიკურ გადასახლებულთა და პატიმართა სასარგებლოთ. მოქალაქენო! ყველა ვინც დაესწრება წარმოდგენას აღნიშნულ დღეებში, მიიღებს პირად სიამოვნებას და თან მოიხდის თავის მოქალაქობრივ მოვალეობას. ყოველი მოქალაქე ვალდებულია ხელი შეუწყოს იმ ორგანიზაციებს, რომლის ხელშია ხალხის მიერ მოპოვებულ უფლებების დაცვა და თავისუფლებისათვის მებრძოლთათვის ხელის შეწყობა.

აღმასრულებელი კომიტეტები მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებისა.

ჯარის კაცთა დეპ. საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტისაგან

კვირას, 26 მარტს დღის 2 საათზე **ძმ. ეფიმოვების ცირკის შენობაში** (მიხეილის პროსპექტზე) შესდგება

საზოგადო კრება

ჯარის კაცთა საბჭოს დეპუტატებისა. ამხანაგ ჯარისკაც დელეგატებს სთხოვენ ნუ დაიგვიანებენ.

ჯ.-კ. დეპუტატების საბჭოს **აღმასრულებელი კომიტეტი.**

კვირას 26 მარტს, დილის 10 საათზე დანიშნულია ხარფუხის საზოგადო კლუბის

წევრთა კრება.

განსახილველი საგნები: 1) მამასახლისთა საბჭოს მოხსენება კლუბის საქმეების შესახებ, 1916 წ. ანგარიშის და სარევიზიო კომისიის მოხსენების განხილვა, მოხსენებები სხვადასხვა საკითხების შესახებ, მამასახლისების, მათი კანდიდატების და სარევიზიო წევრთა არჩევნები. არჩევნები კლუბის წევრთა და კანდიდატებისა.

თფილისის სამეურნეო ბანკის გამგეობა

აცხადებს, რომ წლიური მორიგი კრება სამეურნეო ბანკის წევრთა, ნაცვლად 10 მარტს დანიშნულის კრებისა, რომელიც არ შესდგა, რადგან კანონიერი რიცხვი წევრთა არ გამოცხადდა, დაინიშნა კვირას, 26 მარტს, დილის 10 საათზე ბანკის ბინაზე (სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა).

განსახილველი საგნები:

1. მოხსენება საბჭოსი წლიურ ანგარიშისათვის, 2. მოხსენება საბჭოსი თვის მოქმედებისათვის, 3. მოხსენება სარევიზიო კომისიისა, 4. ანგარიში 1916 წლისა, 5. მოხსენება წესდების § 4 და § 17—2, 3, 4, და 5 მუხლის შეცვლისათვის და 6. არჩევნები: გამგეობის თავმჯდომარისა ნაცვლად ვ. რ. ყიფიანისა, რომელსაც ვადა გაუვიდა, საბჭოს დეპუტატებისა ნაცვლად ი. ვას. მაჩაბელისა, რომელსაც აგრეთვე ვადა გაუვიდა და გარდაცვალებულ ა. ო. ყიფშიძისა და სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და მათის სამის კანდიდატისა.

(3—3)

დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირის გამგეობა, (იგივე ქუთ. გუბ. სახ. მასწ. დამხმარე საზოგადოების გამგეობა) ამით აცხადებს, რომ 26 მარტს, დილის 12 საათზე, კლასიკურ გიმნაზიის დარბაზში დანიშნულია მასწავლებელთა

საზოგადო კრება

გამგეობა მოუწოდებს მასწავლებელთ აუცილებლად დაესწრონ ამ კრებას და მიიღონ მონაწილეობა სადღეისო კითხვების გადაწყვეტაში.

2—2

კავშირის გამგეობა.

კვირას 26 მარტს დილის 9 ნახ. საათზე სახელოსნო კლუბში მიხეილის ქუჩაზე დანიშნულია საზ. კრება.

ლითონზე მომუშავეებისა და ქარხნის პატრონების.

გაირჩევა შემდეგი კითხვები:

1) დღევანდელი მომენტი და ჩვენი დამოკიდებულება, 2) სახელოსნო გამგეობის გაუქმება თუ რეორგანიზაცია? 3) ამომრჩევლების არჩევა თფილისის აღმას. კომ. დელ. ასარჩევათ, 4) შემარიგებელი კამერების დაარსება, 5) მუშების და შეგირდების მდგომარეობის გაუმჯობესება და 6) 8 საათ. სამ. დღე.

II კრება მუშების:

1) დეპუტატის არჩევა მუშათა საბჭოში, 2) პროფესიონალური კავშირის დაარსება და 3) მიმდინარე კითხვები.

საორგანიზაციო კომისია.

განცხადება.

ადელხანოვის მუშათა კოოპერატივის გამგეობა, ამით აუწყებს ყველა ამ საზოგადოების წევრებს, რომ წლიური საზოგადო კრება, რომელიც იყო დანიშნული კვირას 19 მარტს არ შესდგა კანონიერ წევრთა დაუსწრებლობის გამო, შემდეგი მეორე კრება დანიშნულია სამშაბათს 28 მარტს საღამოს 5 საათზე, შესამოს სახელოსნოში, ვორონცოვის ქ. № 96, განსახილველია შემდეგი კითხვები:

1) გამგეობის მოხსენება, აღნიშნული საზოგადოების მდგომარეობაზე. 2) მოხსენება, სარევიზიო კომისიის წევრებისა, ანგარიშების გამინჯვის საქმის ვითარებაზე. 3) 1916 წლის ანგარიშის დამტკიცება. 4) რა რიგათ უნდა გაიყოდოს საქონელი? (ნისიათ თუ ნაღდათ). 5) 1916 წლის მოგების გაწესრიგება. 6) განხილვა 1917 წლის გასავლის აღნუსხვისა. 7) არჩევნები გამგეობის წევრების და მათი მოადგილეებისა. 8) არჩევნები სარევიზიო კომისიის და მათი მოადგილეებისა. 9) ინსტრუქციის დამტკიცება გამგეობისათვის. 10) მიმდინარე საქმეები.

1—1

გამგეობა.

სალამი საფლავებს.

კავკასიის პროლეტარიატი თავისუფლების პირველ დღეს დღესასწაულობს.

ამიერიდან ეს დღე იქნება უდიდესი დღესასწაული თავისუფალი რუსეთის თავისუფალი ხალხისა.

ეს დღე ისეთივე საყვარელი იქნება ჩვენთვის, როგორიც იყო ქრისტეს შობა და აღდგომა ძველი ქრისტიანებისთვის.

დღეს აღსდგა ჯალათების მიერ ჯვარცმული და დასამარებული ქრისტე და ამიტომ იხარებს საუკუნოებით სიცოცხლე განაამები, დღეს თავისუფალი ხალხი.

დღეს ხარობს და ზეიმობს კავკასიის მშრომელი ხალხი, როგორც ომ გადახდილი მხედრობა უსაშინელესი მტრის დამარცხების პირველ დღეებში.

ხარობს და ზეიმობს ქართველი მშრომელი ხალხიც, რომელმაც ერთობ დიდი მსხვერპლი გაიღო ამ თავისუფლების შექმნაში. ქართველი მშრომელი ხალხი თავისუფლებისათვის ბრძოლაში არ ჩამორჩენია უკან მის თანამოძმე რუსეთის პროლეტარიატს.

ოცდა ხუთი წელიწადია, რაც ქართველი მშრომელი ხალხი ყველა კულტურულ ხალხების თავისუფლებისათვის მებრძოლ ავანგარდს, პროლეტარიატს გვერდს ამოუდგა, როგორც საუკეთესო მებრძოლი, როგორც თავგამოდებული დამცველი საკაცობრიო იდეალებისა.

ოცდა ხუთი წელიწადია, რაც ქართველი მშრომელი ხალხის მებაირახტრე მესამე დასმა მედგრათ აღმართა თავისუფლებისთვის მებრძოლთა წითელი დროშა, რაც მან ფეოდალური სუსხით დამზრალ, მონობის სულით გაჟღენთილ საქართველოში ბრძოლის ცეცხლი გააჩაღა.

ქართველ მშრომელ ხალხს დღეს შეუძლია იამაყოს თავის გმირი შვილებით, რომელთაც მთელი სიცოცხლე თავისუფლებისათვის ბრძოლას შესწირეს.

ქართველ მშრომელ ხალხს შეუძლია იამაყოს გმირთა საფლავებით.

პირველი საფლავი ნინოშვილისაა. შიგ ასვენია ჩვენი თავისუფლების პირველი მერცხალი. მესამე დასის გმირმა ბელადმა პირველმა გაგვიღვიძა თავისუფლების სიყვარული, პირველმა აგვინთო გულში ბრძოლის ცეცხლი.

ნინოშვილი მალე დაეცა ბრძოლის ველზე გულ განგმირული. მაგრამ მისი დიდი ანდერძი წინ უძღოდა ქართველ მშრომელ ხალხს, როგორც სინათლის სვეტი ეგვიპტიდან ლტოლვილ ებრაელთ...

და ამ სვეტს გაჰყვა მშრომელი ხალხის მთელი თაობა.

გაჩაღდა ბრძოლა. მრავალ მეომართ შესწირეს თავი თავისუფლებას და იმათ შორის იყო არჩილიც.

ის იყო ჰოტი, ჩვენი ჰოტი, რომლის ძახილში იხატებოდა მშრომელი ხალხის ტანჯვავაება.

რომლის ძახილიც თავს ზარსა სცემდა მტარვალთა ბანაკს.

ციხე-საკანში განუტევა ტანჯული სული და სანუგეშოთ ჩამომავლობას დარჩა საფლავი.

არჩილის გვერდით ასაფლავია: ნემეზიდაშვილი—სევერიანე ჯუღელი და სპირიდონ მცირიშვილი—გერი—ჰოლა ლომთათიძე.

ესენიც არჩილ ჯაფარიძესთან ერთად დაეცენ გოლგოთის გზაზე წამების ჯვრებით.

ბოლმით გულ-მკვდარმა მშრომელმა ხალხმა მოკრძალებით მიაბარა ცივ სამარეს მებრძოლთა ძვლები და თან შეჰფიცა:

— თქვენებრ ვიბრძოლებ და თუ დაგვიდგა დღე ბედნიერი, ჩვენთვისაც აღსდგა ჯვარცმული ქრისტე, თქვენთან მოვირბენთ და ჩაგძახებთ სიხარულის ხმას!

აღსდგა ჯვარცმული თავისუფლება!

დაგვიდგა ის დღე, რომ შევასრულოთ ნანატრი აღთქმა.

მაშ მივულოცოთ მებრძოლთ საფლავებს ქრისტეს აღდგომა.

საფლავებისკენ, ამხანაგებო!

დეე გაიგოს ძვირფასმა ჰოტმა, რომ გაქრა მისი ტანჯვის საგანი.

მაშ მოვაგონოთ თავისუფლების მედგარ რაინდს, რომ ის არ სცდებოდა, როცა საკვდილის წინა წუთებში მებრძოლთ ამხნევებდა:

— ნუ გეშინიათ, გულს ნუ გაიტეხთ, იბრძოლეთ მედგრათ. ძალთა განწყობილება ცხადათ ამტკიცებს, რომ მოახლოვდა გამარჯვების დღეო.

წინასწარმეტყველება აღსრულდა. თავისუფლებას მზე ამოვიდა.

მაშ გაიხაროს მისმა ძვირფასმა არჩილმა.

საფლავებისაკენ, ამხანაგებო!

შეატყობინეთ ნემეზიდაშვილს, რომ მისმა საყვარელმა მშობელმა შურისძიების ღმერთმა, ნემეზიდამ, უკვე საუკუნოთ იძია შური, უკვე ძირს დასცა მტარვალთა ტახტი.

საფლავებისაკენ, ამხანაგებო!

ახარეთ „გერსა“, რომ დღეს ჩვენში გერები აღარ არიან; რომ ჩვენ უკვე მოვიპოვეთ დაკარგული ხშობელი დედა, თავისუფლება.

მაშ ვეთაყვანოთ მებრძოლთა აჩრდილებს.

კურთხეულია მათი ტანჯვა და მათი შრომა.

დეე გაისმას მარსელიოზის ხმა საფლავებ შორის.

სალამი წმინდა საფლავებს!

პროლეტართა სოლიდარობა.

რუსეთის დიდმა რევოლუციამ საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობა არაჩვეულებრივათ განაცხოველა და მსოფლიო ომის მიერ დროებით განელებულმა ერთობამ კვლავ თავი იჩინა.

მუშათა და ჯარისკაცთა სამშვიდობო მოწოდებამ უკვე ნაყოფი გამოიღო. გერმანიის სოციალდემოკრატიული პარტია და გერმანიის მუშათა ორგანიზაციები შესაფერათ გამოეხმაურენ რუსეთის რევოლუციას და ერთგვარი პრაქტიკული ნაბიჯიც გადასდგეს.

ახლა გერმანიის გზას ავსტრია-უნგრეთის სოციალდემოკრატიული პარტიაც დაადგა და თავიანთ ცენტრალურ ორგანოში რუსეთის პროლეტარიატის რევოლიუციონურ მოძრაობას სოლიდარობას უცხადებენ. სოციალდემოკრატების ცნობილმა ლიდერმა ვიქტორ ადლერმა ცენტრალურ ორგანო „არბაიტერ-ცეიტუნგში“ მთელი რიგი წერილებისა მოათავსა, რომელშიაც იგი დაახლოებით შემდეგს ამბობს: „რუსეთის რევოლიუცია ინგლისის ცბიერი და ვერაგული პოლიტიკის შედეგი კი არ არის, არამედ ნამდვილი უდიდესი რევოლიუციაა. ჩვენ ავსტრიელები მეფის ჯარებს ვებრძოდით და მეფობის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლას ვაწარმოებდით, მაგრამ ამავე დროს რუსეთის ხალხს მუდამ სოლიდარობას ვუცხადებდით. ახლა დადგა მომენტი, როცა ჩვენსა და რუსეთის შორის ზავი უნდა ჩამოვარდეს. რუსეთის პროლეტარიატი ჩვენი საუკეთესო მოკავშირეა“.

ამ სახით რუსეთის დიდმა რევოლიუციამ ორ დიდ სახელმწიფოში—გერმანია-ავსტრიაში შესაფერი თანაგრძნობა გამოიწვია, სოლიდარობის გრძნობა გააღვიძა. რუსეთის მუშათა კლასთან ერთათ იმპერიალისტების მიერ დაწყებული საშინელ ომის შეწყვეტას ითხოვენ. ევროპის კაპიტალისტებმა თავიანთი მოგების გა იდეებისა და ბაზრების გაფართოებისათვის მსოფლიო ომი გამოიწვიეს და ევროპის პროლეტარიატი ერთი-მეორეს დაუპირდაპირეს. ძმათა შორის ხოცვა ჟლეტა გაჩაღდა. მიუხედავათ იმისა, რომ ევროპის სახელმწიფოების პროლეტარები ომის დაწყებამდის მილიტარიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ სასტიკ აგიტაცია-პროპაგანდას ეწეოდენ, მაინც გაბატონებულმა კლასებმა თავისი გაიტანეს და ომში მთელი ხალხი ჩაითრიეს.

ომი დაიწყო, მეომარ სახელმწიფოების პროლეტარები იძულებულნი გახდენ იარაღით ხელში სამშობლო დაეცვათ და მათ ერთი-მეორის წინააღმდეგ ებრძოლათ. თვით ომის პროცესმა მუშათა ორგანიზაციები დაანგრია, დროებით ისინი ბურჟუაზიული პოლიტიკის მსხვერპლათ აქცია

მაგრამ ყოველგვარ ამას თავისი უარმყოფელი ტენდენცია თანა სდევს. ბურჟუაზიის მიერ დაწყებულმა ომმა მეომარ სახელმწიფოების მუშათა კლასის ეკონომიური, კულტურული და ფიზიკური არსებობა საფრთხეში ჩააყენა. აუტანელი მდგომარეობა შეიქმნა და ასეთ პირობებში ყველაზე მეტად პროლეტარიატის მდგომარეობა შეირყა. უკანასკნელი მოთმინებიდან გამოსული ძალას იკრებდა. მისი კლასიური შემეცნება ღრმავდებოდა და იმპერიალისტთა კლასების წინააღმდეგ უკმაყოფილება იზრდებოდა. ასეთმა უკმაყოფილებამ და აღშფოთებამ ყველაზე მეტათ თავი რუსეთში იჩინა, აქ ისტორიულათ შექმნილი ისედაც ვერაგული ეკონომიური და პოლიტიკური პირობები, ერთი-ორათ გაუარესდა და მრავალტანჯულმა მუშათა კლასმა და მასთან ერთად რევოლიუციონურმა ჯარმა მეფის ტახტი დაამხო და მით მთელი რუსეთის ხალხს თავისუფლება მიანიჭა. თავისუფალმა მუშათა კლასმა ინტერნაციონალური ერთობის დროშა ააფრიალა და მთელი ევროპის დემოკრატიაზე არაჩვეულებრივი გავლენა მოახდინა. მის ლოზუნგს: პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით! სხვადასხვა სახელმწიფოების პროლეტარები ეხმაურებიან. შორს აღარ არის ის დრო, როცა ინტერნაციონალური სოლიდარობა ევროპის მუშათა კლასის საერთო ლოზუნგი გახდება და საერთაშორისო ომს ბოლო მოეღება.

პროვოკატორები.

დღიდან თვითმპყრობელობის დამხობისა თითქმის ყველა საგუბერნიო და სამაზრო ქალაქების დამცველ განყოფილებათა არქივის გადასინჯვის დროს მრავალი პროვოკატორი აღმოაჩინეს. ეს მხოლოდ დასაწყისია, უეჭველია შემდეგში არა ერთი და ორი პროვოკატორი აღმოჩნდება.

ვინ გინდათ, რომ პროვოკატორთა სიაში არ იყვნენ. აქ ყველა შეხედულებისა და პროფესიის ხალხს შეხვდებით. მათ შორის არიან მღვდელი და ბერი, ლიტერატორები და დეპუტატები, სტუდენტები და უმაღლესი კურსების ქალები, მუშები და რედაქტორები, საეროზო დაწესებულებათა მოღვაწეები და ვექილები.

ერთი სიტყვით, თვითმპყრობელობამ ყველა პროფესიის და პოლიტიკური რწმენის, აგრეთვე სხვადასხვა ეროვნების ხალხში ქსელები გააბა და ყველგან საზიზღარ რეჟიმის განსამტკიცებლათ თავისი აგენტები გაიჩინა.

თვითმპყრობელობამ არ იკმარა, რომ მთელი საუკუნეების განმავლობაში შექმნა ერთგვარი ბიუროკრატიული სისტემა, რომელიც დესპოტიური მართვა გამგეობის განმტკიცებას ყოველი ძალღონით ცდილობდა.

მაგრამ აბსოლიუტიზმი, ამით არ კმაყოფილდებოდა. მან შექმნა განსაკუთრებული დაწესებულება, რომელიც ყველა პოლიტიკურ მოღვაწეს, სხვადასხვა რწმენის ხალხს თვალყურს ადევნებდა. ასეთი იყო ე. წ. დამცველი განყოფილება, ჟანდარმთა მართველობა და სხვა. ეს დაწესებულება მუდამ დღე ისეთ ზომებს იმუშავებდა, რომელიც პოლიტიკურათ არასაიმედო პირებს მოქმედების ასპარეზს უსპობდა. დამცველ დაწესებულებებს აურიცხველი ფული ეძლეოდათ, მათ განკარგულებაში იყო დიდძალი თანხა და ეს აგენტ პროვოკატორებზე იხარჯებოდა.

ქვეს გარეშე საერთო პოლიტიკური მდგომარეობა ისეთ ხასიათს იღებდა, როცა თავისუფლების მომხრეთა ერთი ნაწილიც კი დამცველ ორგანოებს სამსახურს უწევდა. ჩვეულებრივი მოქალაქე, რომელიც განსაკუთრებულ პირობებში არ იმყოფებოდა, ფულის გულისთვის სამარცხვინო ხელობას ეწეოდა ფულზე თავიანთ მოქალაქობრივ სინდისს ყიდდენ და ამ სახით სამარცხვინო საქმეებს აწყობდენ.

სულ სხვა მდგომარეობაში იმყოფებოდენ ე. წ. სოციალისტ-პროვოკატორები. თვით კ. მარქსი ამ ორმოცდაათი წლის წინათ მათ შესახებ შემდეგსა სწერდა: „მუდმივ შევიწროებული რუსეთის სოციალისტი, მძიმე საკატორღო და საცინო პირობების გამო, მუდამ დევნილი სოციალისტი მუდამ დღე ჟანდარმერიასა და დამცველ დაწესებულებას ეჯახებოდა; მუდამ მთავრობის აგენტების მიერ დევნილნი და მეტისმეტად ცუდ პირობებში ჩაყენებულნი,—მშიერ-მწყურვალნი, ფიზიკურათ

ტანჯულნი ხშირათ თავს „დანაშაულში“ ტყდებოდენ და მთავრობის აგენტობას კისრულობდენ. სოციალისტებისათვის რუსეთის მთავრობა განსაკუთრებულ პირობებს ქმნიდა და მათ სინდისზე ყოველგვარ საზიზღარ ტერორს ახდენდა“. ამას ამბობდა მარქსი ამ 50 წლის წინათ, ასეთივე პირობები იყო დღევანდლამდის. რაღა გასაკვირალია, რომ თვითმპყრობელობის აგენტებმა, მთელი სახელმწიფო „ყვითელ დაწესებულებათ“ გადააქციეს. ზიზღი და წყევლა-კრულვა ისეთ რეჟიმს, რომელმაც ასეთი სამარცხვინო პირობები შექმნა.

პროვოკატორთა სიის გამოქვეყნების შემდეგ რუსეთის ხალხი კიდევ უფრო შეაქცევს ზურგს მეფობას და ზიზღით მოიხსენიებს იმ პირებს, რომელნიც თვისი პირადი კეთილდღეობისათვის ამ სამარცხვინო წყობილებას ემსახურებოდენ.

დეპეშები.

მანასევიჩ-მანუილოვის საქმე.

თუ რატომ შეაჩერეს მანასევიჩ მანუილოვის საქმე, ამას ნათლათ ამტკიცებს ის ორი დეპეშა, რომელიც ყოფილ დედოფალს თავის ქმრისათვის გაუგზავნია. პირველი დეპეშა ასეთი შინაარსისაა: გთხოვ შენ, რომ მანასევიჩ-მანუილოვის საქმე სასამართლოში შეაჩერო. შენს დასამშვიდებლათ ეს აუცილებელია. მეორე დეპეშაში კი ნათქვამია: გულითად მადლობას გწირავ, რომ ჩემმა თხოვნამ გავლენა მოახდინა შენზე და შესაფერი ბრძანება გაეცით.

რევოლიუციის მსხვერპლთა დასაფლავება.

23 მარტს, პეტროგრადში რევოლიუციის მსხვერპლთა დასაფლავება დიდის ზეიმით მოხდა. მთელი დღის განმავლობაში მთავრობის, სავაჭრო და საზოგადოებრივი დაწესებულებები დაკეტილი იყო, ტრამვაის მოძრაობა შესწყდა. დილის ოთხი საათიდან ხალხმა ექვს დანიშნულ ადგილებთან თავი მოიყარა, აქედან პროცესია ძმათა სასაფლაოსაკენ დაიძრა და 5 საათზე ხალხი მარსის მოედანზე მოვიდენ. პირველათ საფლავში კუვანი, აფანასიევი და თევდორე კოზლოვი ჩაუშვეს. წესიერება საუცხოვო იყო. ორკესტრი სამგლოვიარო მარშს უკრავდა. ძმათა საფლავზე მოვიდა სამხედრო მინისტრი გუჩკოვი, დროებითი მთავრობის თავმჯდომარე როძიანკო და ყველა წევრები, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს დელეგატები, გლეხთა კავშირისა და აფიცერთა წარმომადგენლები, ყველა მინისტრები პრემიერ მინისტრ ლვოვის მეთაურობით. მრავალი დროშა მოქონდათ სხვადასხვა რევოლიუციონური წარწერებით. წარმოითქვა სიტყვები. მინისტრთა თავმჯდ. ლვოვმა სთქვა: გული ჩემი აღივსო სიხარულით, დადგა დიდებული დღე, რომელსაც რუსეთის ხალხი მთელი საუკუნოებით ელოდებოდა. ძველი შენობა დაინგრა. ჩვენ გვწამს, რომ ეს მსხვერპლი იქნება დიდი რუსეთის მომავალი აყვავებისა. ილაპარაკა შინგარიოვმა, კონოვალოვმა. დანარჩენ ორატორების სიტყვები შემდეგში იქნება.

დამფუძნებელ კრების მოწვევისათვის მზადებიან.

კიევის კომერციული ინსტიტუტის პროფესორმა სილინმა დროებითი მთავრობიდან დეპეშა მიიღო, რომელსაც პეტროგრადში იწვევენ დამფუძნებელ კრების მოწვევის წინასწარ მოსამზადებელ საქმეში მონაწილეობის მიღებისათვის.

მუშათა საბჭოს დადგენილება.

ბაქო. 21 მარტი. მუშათა დეპუტატთა საბჭომ გადასწყვიტა დაარსოს განსაკუთრებული კომისია, რომელიც ნავთის მწარმოებელთა და მუშების შორის კონფლიქტს მოაწესრიგებს.

ზავის გარშემო.

პარიზი. 22 მარტი. გაზეთების გადმოცემით გერმანია დასავლეთის ფრონტზე შემდეგ საზავო პირობებს აყენებს: ბელგიის ევაკუაცია, მხოლოდ იმ პირობით, რომ გერმანიის გარნიზონები უმთავრეს ქალაქებში დარჩენ; რკინის გზების კონტროლი; საფრანგეთის ტერიტორიის ევაკუაცია ბრიესა და ლონგრინს გარდა. ამასთანავე უნდა იქნეს გადახდილი 15 მილიარდი ფრანკი კონტრიბუციის სახით.

გაზეთის დახურვა.

ტიუმენი 21 მარტი. დროებითმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გაზეთ „ერმაკი“ დახურა. გაზეთის გამომცემელი. აფრომეევი დააპატიმრა, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ ტობოლის საგუბერნიო კომისარის განკარგულებით სურგუთის მხარეში გაიგზავნა.

სამსახურიდან გადაყენება.

პეტროგრადი. დროებითი მთავრობის განკარგულებით სამსახურიდან დაითხოვეს რიგის ოლქის მზრუნველი შჩერბაკოვი.

სახელმწიფო დუმის წევრი, კიევის უნივერსიტეტის პროფესორი ბოგდანოვი ადგილიდან გადააყენეს. იურიევის უნივერსიტეტის პროფესორი გრაბესი დაინიშნა რიგის ოლქის მზრუნველათ. დროებითი მთავრობის განკარგულებით ვეტერინარი ინსტიტუტის სტუდენტებს მიეცათ „ასტროჩკა“. კოოპერატივის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ზელგეიმი დაინიშნა სამიწათმფლობელო მინისტრის თანაშემწეთ სასურსათო ნაწილში.

ვარშავის გენერალ-გუბერნატორი თავადი ენგალიჩევი—ადგილიდან გადააყენეს.

ებრაელთა კრება.

პეტროგრადი. 22 მარტს ვინავერის თავმჯდომარეობით მოხდა ებრაელთა კრება. კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია, რომ განთავისუფლებულმა რუსეთმა გაანთავისუფლა დაჩაგრული ერები, მათ შორის ებრაელებიც, რომელნიც სულით და გულით მხარს უჭერენ რევოლიუციას.

მასწავლებელთა კრება.

ნიჟნი ნოვგოროდი. მოხდა კრება ვარშავის პოლიტეხნიკუმის მასწავლებელთა კორპორაციისა, რომელზედაც პოლიტეხნიკუმის ადმინისტრაციამ გამოაცხადა, რომ დღეიდგან სამსახურს თავს ვანებებთო. გადადგა აგრეთვე დირექტორი ამალიცკი.

გლეხთა კრება.

იაროსლავი. შესდგა მთელი გუბერნიის გლეხთა კრება, რომელიც მიესალმა ახალ მთავრობას და აცნობა მას, რომ ჩვენ ისე დავიცავთ წეს-რიგს, როგორც მთავრობას სურს.

8 საათის სამუშაო დღე.

ხარკოვი. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებმა გადასწყვიტეს დაუყონებლივ შემოიღონ 8 საათის სამუშაო დღე.

შრომის კონფედერაციის მანიფესტი.

პარიზი. პარიზის შრომის კონფედერაციამ შემდეგი მანიფესტით მიმართა რუსეთის პროლეტარიატს: კონფედერაციის კომიტეტი წარმოადგენს საფრანგეთის ორგანიზაციულათ შეერთებულ მუშათა კლას, ის ესალმება რუსეთის მუშებს, რომელთა ბრძოლამ მთელი რუსეთი გაანთავისუფლა. კომიტეტს სურს მიესალმოს რუსეთში სოციალისტურ რესპუბლიკას, რომელიც გაანთავისუფლებს რუსეთის მუშათა კლას ეკონომიურად და პოლიტიკურად. ჩვენ—ამბობს მანიფესტი—მუხლს ვიდრეკთ წამებულთა საფლავის წინაშე, რადგანაც მათ დაიცვეს რევოლიუციონური იდეები—ეს უძვირფასესი განძი თეზერვლის ბრძოლისა. ეს უდიდესი იდეები უნდა გავრცელდეს ყველა ერის პროლეტარიატში. როდესაც თქვენ გამოაცხადეთ, რომ გაანთავისუფლებთ პოლონეთს, ფინლიანდიას და სომხეთს, როდესაც განაცხადეთ, რომ ყველა ერს რუსეთში მისცემთ თავისუფლებას და ყოველივე უფლებას, როდესაც კერენსკიმ განაცხადა, რომ რუსეთს არ სურს კონსტანტინოპოლი და მიილტვის სრუტეების ინტერნაციონალიზაციისაკენ, რომ დაარსდება სამედიატორო სასამართლო, ძველი ჩუმი დიპლომატიის მაგივრად და ეს სასამართლო გადასწყვეტს ომის ბედს—ჩვენ, საფრანგეთის მუშები აღფრთოვანებაში მოვედით და დარწმუნებული ვართ, რომ ომს ბოლო მალე მოეღება. ჩხეიძის განცხადებით ჩვენს სიხარულს საზღვარი არ აქვს; ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველივე ნაწილი თავისუფლებისა მაგრდება. რუსეთის ხალხის გამარჯვებით გერმანიის ხალხს მოესპო საშიშროება სლავიანთა თავდასხმისა. მათ მაგალითი უნდა აიღონ რუსეთის პროლეტარიატისაგან. ჩვენ კი—ათავებს მანიფესტი—რუსეთის ხალხს მალე ხელს გავუწვდით ინტერნაციონალში.

(გაზეთებიდან).

ჟურნალისტი პროვაკატორი.

პეტროგრადიდან იტყობინებიან, რომ როსტოვში დაპატიმრებულ პროვაკატორთა რიცხვში აღმოჩნდა ჟურნალისტი ვენგეროვი, რომელიც სამხრეთის გაზეთებში თანამშრომლობდა.

წოდებათა გაუქმება.

იუსტიციის მინისტრმა—კერენსკიმ პროექტი შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც ყოველგვარი წოდებრივი შეზღუდვა სოფლელ მცხოვრებთათვის ისპობა.

გენერალ-მაიორის დაპატიმრება.

გენერალ-მაიორი რიმანი, რომელიც პოლკოვნიკ მინთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1906 წლის რევოლიუციის ჩაქრობაში, დააპატიმრეს და მინისტრთა სადგომში მიიყვანეს. რიმანი დააკავეს ტორნეოში, საიდანაც ის ქალის ტანისამოსში გადაცმული ცოლთან ერთად საზღვარგარეთ გაპარვას აპირობდა.

მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭოს მოწოდება.

მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭომ მოწოდებით მიმართა მოქალაქეთ, სადაც ის დახმარებას მოითხოვს, რათა დაუყონებლივ განხორციელდეს 8 საათის სამუშაო დღის საკითხი. ამ მოთხოვნას მუშათა კლასი უმთავრესათ იმითი ასაბუთებს, რომ მოპოებული თავისუფლების ნამდვილი დარაჯნი მუშები არიან და ამისთვის კი საჭიროა მათ თავისუფალი, დასასვენებელი დრო ქონდეთ. ყველასთვის ცხადია, რომ მთელი დღე მუშაობა მუშებს ფიზიკურათ ისე ქანცავს, რომ მათ სხვა მოვალეობის და საქმეების გაკეთება აღარ ძალუძთ.

დამწუხრებული ილია ივანეს ძე და გრიგოლ ილიას ძე ცოლშვილით მალალაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-ამხანაგთ საყვარელის შვილისა და დის

ქეთევან ილიას ასული თუხარელის

ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას, პანაშვიდი გადახდილ იქნება დღეს 25 მარტს ქვაშვეთის ეკლესიაში საღამოს 7 საათზე. დარძალვა მოხდება კვირას 26 მარტს. წირვა დაიწყება 9 და ნახ. საათზე რის შემდეგ ცხედარს გამოასვენებენ ქაშვეთის ეკლესიიდან ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში სადაც მიაბარებენ მიწას.

სოციალდემოკრატიული კრება.

ხვალ, კვირას, 26 მარტს დილის 10 საათზე, სახალხო სახლში მოხდება სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ადგილობრივ წევრთა კრება. წევრთა წინასწარი ჩაწერა სწარმოებს:

1) გაზეთ „ერთობის“ და „პაიქარის“ რედაქციებში;
2) მუშათა დეპუტატების საბჭოში—გ. ცინცაძესთან;
3) მთავარ სახელოსნოში—იას. ფანიაშვილთან;
4) ტრამვაის საავადმყოფო კასაში—მარსაკოვთან;
5) „აღორძინებაში“—დამოვნის ქ. № 4;
„ —ოლღას ქ. № 26;
„ —კახეთის ქ. მოედ.
6) ვერაზე—ვანო ქორფაშვილთან;
7) ნაძალადევში—ნ. ქადაგიშვილთან;
8) საბურთალოზე—მიხ. გოგლიძესთან;
9) საქველმოქმედო საზ. სასახლის ქუჩაზე № 5, ლავრ. სანაძესთან;
10) კახ. რკ. გზის სამართველოში ვლასი ბოხოხაძესთან მასთანვე ბინაზე—მალაკნის ქ. № 25.
11) ადელხანოვის ქარხანაში—ირ. შანიძესთან;
12) კან. „განათლებაში“ ოლღას ქ. № 6, ხ. თავართქილაძესთან.

კრების დღეს ახალი წევრების მიღება სახალხო სახლშივე მოხდება.

კრებაზე გარეშე პირებს დასწრება არ შეუძლიათ.

საოლქო კომიტეტი ამიერკავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციისა.

მოსკოვის ქალაქის საბჭოს გაუქმება.

მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭომ გადასწყვიტა; ქალაქის საბჭო გაუქმებულ იქნეს და ყველა მისი ფუნქციები საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კომიტეტს გადაეცეს. ამასთანავე უნდა მოხდეს ახალი დემოკრატიული არჩევნები და შეიქმნას ქალაქის მართველობის დროებითი ორგანო.

ნიკოლოზ მეფეს პეტრე პავლეს ციხეში გზავნიან.

დროებითი მთავრობა ამ დღეებში განიხილავს საკითხს დაპატიმრებული მეფის პეტრე-პავლეს ციხეში გადაყვანის შესახებ.

საიდუმლო დიპლომატია შტიურმერის დროს.

სავსებით გამოირკვა, რომ შტიურმერის დროს ყოველ-გვარ სამხედრო საიდუმლოებას მოწინაამდეგე სახელმწიფონი იგებდნენ. როცა ვენიზელოსი აპირობდა აგიტაციის გაწევას საბერძნეთში რესპუბლიკის დაარსების სასარგებლოთ, მას განუცხადეს, რომ ეს მეფეს არა სურსო.

დაპატიმრებული პროტოპოპოვი.

ამჟამათ პროტოპოპოვი პეტრე პავლეს ციხეში იმყოფება. რამოდენიმე დღის წინეთ ის სასეირნოთ იყო გამოსული და თავისი მდგომარეობის შესახებ საუბარი დაუწყო დარაჯ ჯარისკაცს. ახლა რომ რევოლვერი მომცაო უთხრა პროტოპოპოვმა—მაშინვე თავს მოვიკლავდიო. ეს ადვილი საქმეა, მიუგო ჯარისკაცმა, ჩვენ ნაბრძანები გვაქვს, რომ ვესროლოდ ტუსაღს, როცა ის გაიქცევა. თუ თქვენ გსურთ სიკვდილი, გაიქეცით და სიამოვნებით გესვრი და იქვე დაგაწვენთ. ამ სიტყვებზე პროტოპოპოვი შიშის ზარმა მოიცვა და ისტერიულათ მორთო ყვირილი: არიქა, მიშველეთ! დარაჯი მოკვლას მპირებსო!

ახალი ამბები

◆ **მარქსისტ სტუდენტების კრება.** ქართველი სტუდენტების და კურსისტკების მარქსისტთა ჯგუფი მართავს კრებას შაბათს 25 მარტს, 5 საათზე, მიხაილოვის პროსპექტი № 126, კბილის საექიმო შენობაში.

◆ **მოვაგონებთ ამხანაგებს,** რომ 26 მარტს, საღამოს 6 საათზე ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია კონფერენცია ამიერ-კავკასიის მოწაფე-მარქსისტთა კავშირისა. კონფერენციაზე დასწრება შეუძლიათ არა დელეგატ მოწაფეებსაც და მუშებსაც, რომელნიც შეშვებული იქნებიან დარბაზში მხოლოდ ბარათებით. ბარათების მიღება შეიძლება კოლექტივის მდივანთან დავ. დუმბაძესთან.

◆ **მიტინგი.** 27 მარტს, საღამოს 7 საათზე სახალხო სახლში დანიშნულია საერთო მიტინგი ოჯახებში მოსამსახურეთა, მზარეულებისა, მრეცხავებისა, მეკარეებისა და სხვ. დამსწრეთ უნდა ილაპარაკონ თავიანთ საჭიროების შესახებ და შეჰკრან ორგანიზაცია.

◆ **ჟურნალისტთა თათბირი.** დღეს, 25 მარტს, საღამოს 6 საათზე, სასახლეში კრება ექნებათ თფილისის ჟურნალ გაზეთების თანამშრომელთ. უმთავრესი საგანია ჟურნალისტთა ბიუროს მოწყობა.

◆ **დღეს,** 25 მარტს, რუსეთის დიდი რევოლიუციის მსხვერპლთა საყოველთაო დღესასწაულის გამო, თფილისის აფთიაქებში მორიგე ფარმაცევტები იმუშავებენ წამლის დასამზადებლად იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა მანიფესტაციის დროს ვინმე დაშავდა ანუ გული წაუვიდა. ისეთი რეცეპტები, რომელნიც საჩქარონი არ არის, აფთიაქებში, არ მიიღებენ.

◆ **ქალაქის მილიციის უფროსი** პოდპორუჩიკი კოგანი აცხადებს უბნის მილიციონერთა უფროსებისა და სახლების პატრონთა საყურადღებოდ: სახლის პატრონები, რომელთა საერთო შემოსავალი სახლისა უდრის 2500 მან., უნდა იყოლიონ ცალკე მეეზოვე, ხოლო პატარა სახლის პატრონები ერთად უნდა შეერთდნენ, მაგრამ იმ ანგარიშით, რომ მათი შემოსავალი არ აღემატებოდეს 3000 მანეთს და 1 მეეზოვე უნდა აიყვანონ. მეეზოვენი თავის მხრივ ვალდებული არიან ასუფთაონ და მორწყან ქუჩები, ნაგავი გადაიტანონ, ფანრები აანთონ, მორიგეობით იმსახურონ ღამ ღამობით და მილიციონერებს დახმარება აღმოუჩინონ, როცა საჭიროება მოითხოვს; აგრეთვე თვალყური უნდა ადევნონ ღამით საეჭვო პირებს, რომ სხვისი ეზოდან არ გაიტანონ რა და სხ. სახლის პატრონები რომელნიც ამ განკარგულებას არ შეასრულებენ, პირველად დაჯარიმდებიან 5 მან., მეორედ 10 მან., მესამედ 20 მან., ასე რომ თითოეულ შემთხვევაში ჯარიმა გაორკეცდება. მეეზოვე, რომელიც ამ განკარგულებას დაარღვევს, 24 საათით დაიჭერენ.

◆ **რკინის გზის აღმასრულებელმა კომიტეტმა** შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა და დეპეშით პეტროგრადს გაგზავნა. დღეს, 15 მარტს—გმირ მებრძოლთ მუშათა და ჯარისკაცთა დასაფლავების დღეს სადღესასწაულოთ შეკრებილ სარაყამიშის რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა, ჯარის კაცთა და მოქალაქეთა საჯარო კრება, მუხლს იდრეკს რუსეთის თავისუფლებისათვის ბრძოლაში გმირულათ დაღუპულთა საფლავის წინაშე. დღეს მარსის მოედანზე ისტორიულ საფლავის პირათ შეკრებილ თავისუფლებისათვის მებრძოლ რუსეთის წინაშე ფიცს ვდებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვემსახუროთ რუსეთის თავისუფლებას. ამხანაგურ სალამს ვუძღვნით მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს და დროებით მთავრობას, ვიმედოვნებთ, რომ თქვენი თავგანწირული ბრძოლით რუსეთის მუშებთან და ღარიბ გლეხკაცობასთან ერთად, ძლევა მოსილი განახლებული რუსეთი მალე იხილავს დინასტიის ნანგრევებზე აღმოცენებულ დემოკრატიულ რესპუბლიკის მკვიდრ შენობას, რომელიც ფართო გზას გაუხსნის მუშათა კლასს მომავალ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლათ.

◆ **ხელზე მოსამსახურეთა საყურადღებოთ.** ხელზე მოსამსახურეთა, კლუბებისა, სასტუმროებისა, რესტორანებისა და საყავე-საჩაიეს საზოგადო კრებამ, რომელიც შესდგა 24 მარტს დაადგინა: 25 მარტს იუქმოს ყველა ზემო-მოყვანილ დაწესებულების მოსამსახურეებმა 27 თებერვლის პეტროგრადის ქუჩებში დახოცილ გმირების სადღესასწაულოთ. და მოუწოდებს ზემო მოყვანილ მოსამსახურეებს 25 მარტს მოვიდენ მიხაილოვის ქუჩაზე იუნკრების სკოლის ეზოში დილის ცხრა საათზე.

◆ **პროფესიონალურ კავშირის კრება.** კვირას 26 მარტს საღამოს 6 საათზე მეექვსე გიმნაზიის შენობაში მოხდება საშუალო სასწავლებლის მოსამსახურეთა (სტოროჟების და შვეიცრების) საერთო კრება. სასურველია რაც შეიძლება მეტი წევრები დაესწროს.

◆ **კრება.** ხვალ, 26 მარტს, ნაშუადღევის 2 საათზე, ეფიმოვების ცირკში კრება ექნება ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს. პირველათ წაიკითხავენ მოხსენებას საბჭოს წარსულ მოქმედების შესახებ, გადაწყდება საკითხი საბჭოს განახლების შესახებ და მოსმენილ იქნება მოხსენება კავკასიის მხედრობის ორგანიზაციის შესახებ.

◆ **დღეს,** 25 მარტს, ქალაქის საბჭოს დარბაზში კრება ექნებათ ოსმალეთის სომხებს. სხვათა შორის დაესწრებიან ანდრონიკე, თუმანიანცი და სხ.

◆ **ქალაქის საბჭოს სასურსათო კომისიაში** 5 წარმომადგენელია წევრად მიღებული ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსაგან.

◆ **ქურდობა.** 20 მარტს აბას აბასის ქუჩაზე გაქურდეს მარიამ მიროტესის სახლი. გატანილია 1500 მანეთის ძვირფასი ნივთები და 500 მან. ფული.

◆ **ქალაქის მე-4 უბნის** ერთმა მილიციონერმა ნორაშენის ქუჩაზე ი. ელაშვილის ბინაზე აღმოაჩინა მალულად არყის ხდა. იპოვნეს არყის სახდელი აპარატი, არაყი და ქიშმიშის წვენი.

დეპეშები.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

სარიყამიში. შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელსაც დაესწრენ 15 ათასი ჯარის კაცი და მუშები. დეპუტატ ხარლამოვმა და თფილისის გარნიზონის ჯარის კაცთა საბჭოს წარმომადგენელმა მიესალმენ ხალხს და მოუწოდეს ორგანიზაცია შეექმნათ და დროებითი მთავრობისათვის მხარი დაეჭირათ, სარიყამიშის კომიტეტის რუსეთის სოციალდემოკრატიული პარტიის სახელით დეპუტატს და მიტინგს მიესალმა ფარნიევი. რკინის გზის მოსამსახურეთა სახელით მიესალმა თავდიშვილი. რუსეთის სოციალდემოკრატიული პარტიის წარმომადგენლის მისალმების შემდეგ—ხარლამოვმა განაცხადა, რომ პეტროგრადში პირველად ქუჩაში ჯართან და მუშებთან ერთად გამოვიდენ ჩხეიძე და სკობელევი. მაშ გაუმარჯოს მათ. ზღვა ხალხი „ურას“ ძახილით შეხვდა მათ სახელის ხსენებას და გაიძახოდა „გაუმარჯოს ჩხეიძეს, გაუმარჯოს სკობელევსო“!

ფარნიევი.

აბაშა. შესდგა ხელოსანთა და ნოქართა კრება, რომელმაც მისალმების დეპეშა გაუგზავნა კარლო ჩხეიძეს. ასეთივე მისალმების დეპეშა გაეგზავნა თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს. აირჩიეს ხელმძღვანელი კოლექტივი, იკვრება პროფესიონალური კავშირები, გამოფხიზლებულია შრომელი ხალხი და სოციალდემოკრატიის ორგანიზაციის გარშემო ირაზმება.

ი. ხონელიძე.

რევოლიუციაში დაღუპულთა ხსოვნის აღნიშვნის დღესასწაულის გეგმა.

თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტთა დახოცილთა პატივის ცემის კომისიამ შემდეგი გეგმა გამოიმუშავა:

I. ხსოვნის აღნიშნულ დღეთ დანიშნულია 25 მარტი.

II. სადღესასწაულო ადგილათ ირის არჩეული მინდორი ვაკე, მართმადიდებელთა სასულიერო სემინარიის გვერდში.

III. კოლონების თავშესაყარი ადგილები:

1) **ვერა.** ქართული გიმნაზიის ახლოს. აქ თავს იყრიან: სააზნაურო გიმნაზია, ქალთა უმაღლესი კურსები, ივანოვის გიმნაზია, მიწათ მზომელთა სასწავლებელი, 1 და 6 გიმნაზია, თუთუნის ფაბრიკა ბოზარჯიანცი და ამ რაიონის დანარჩენი სასწავლებლები და სხვები. პროცესია აქედან 10 საათზე დაიძვრება წყნეთის ქუჩით.

2) **ერევნის მოედანი.** აქ თავს იყრიან: ქალაქის მოსამსახურენი 1 და 2 ქალთა გიმნაზია, ვაჟთა 1 გიმნაზია, ხელოსანთა საბჭოს წევრები, კადეტთა კორპუსი, პირველ როტის გარდა, მბეჭდავები და სხვები. გამოვლენ დილის 10 საათზე სასახლის, გოლოვინსკის, ოლღასა და წყნეთის ქუჩით.

3) **ნაძალადევის მოედანი.** აქ თავს იყრის: უმთავრესი სახელოსნო, რკინის გზის დეპო, ტრამვაის მოსამსახურენი, იარაღოვის ქარხანა, სეილანოვისა და ენფიაჯიანცის ფაბრიკა და სხვა. გამოვლენ 10 საათზე ჩერქეზოვის, კიროჩნის, ვერის ხიდით, ოლღას და წყნეთის ქუჩით.

4) მიხაილოვის, ჩუღურეთისა და თფილისის სამხედრო სასწავლებლის რაიონში თავს იყრიან: რეალური სასწავლებელი, ვაჟთა და ქალთა მეორე გიმნაზია, ტეხნოლოგიური სასწავლებელი, მე-4 გიმნაზია, 1 და 2 კომერციული სასწავლებელი და სხვა. გამოვლენ ცხრის ნახევარ საათზე მიხაილოვის ქუჩით ვერის ხიდზე და ოლღისა და წყნეთის ქუჩით.

5) **ავლაბარში** კახეთის ქუჩაზე, თფილისის პოლკის ყაზარმებთან თავს იყრიან: ფაბრიკა „მირი“, ქარხნები, სახელოსნოები და ამ რაიონის სასწავლებლები. გამოვლენ დილის 10 საათზე. მარშრუტი—კახეთის ქუჩა, ციციანოვის აღმართი, 19 თებერვლის ქუჩა, ვორონცოვის ხიდი, ბარიატინსკის, გოლოვინის, ოლღისა და წყნეთის ქუჩა.

6) **ხარფუხში.** ხარფუხის მოედანზე თავს იყრიან ქარხნები: ადელხანოვის, თაიროვის და ტოლესი; მებაღეები, მაჰმადიანები და სხვები. გამოვლენ 9 ნახ. საათზე. მარშრუტი ვორონცოვის ქუჩ. მაიდანოვის მოედანი, ლვინის აღმართი, სიონის ქ. სომეხთა ბაზარი, ერევნის მოედანი, სასახლის, გოლოვინის, ოლღისა და წყნეთის ქუჩები.

IV. ვაკეში შესავალი იქნება მხოლოდ წყნეთის ქუჩიდან.

V. პროცესიის წესრიგს იცავენ სამხედრო სკოლების იუნკრები.

VI. წეს-რიგის დაცვისათვის ვთხოვთ დაემორჩილონ იმ პირთ, რომელთაც მკლავზე ექნებათ განსაკუთრებული ნიშანი.

VII. ჯარი იღებს მონაწილეობას დღესასწაულში თფილისის გარნიზონის კომენდანტის განკარგულების თანახმად, რომელნიც გამომუშავებულია ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს თანხმობით.

VIII. ყველა მათ, ვისაც სურთ მიიღონ მონაწილეობა დღესასწაულში, ამისათვის უნდა დაეწყონ კოლონებათ და მივიდენ დანიშნულ პუნქტებში.

IX. ბავშვები 14 წლის დაბლა არ იქნებიან დაშვებულნი.

კოლონების ორგანიზაციის სქემა.

1) თითოეულ ქარხანა-ფაბრიკაში, სასწავლებლებში და სხვა აირჩიეთ ამხანაგებო თითო კაცი ას კაცზე. შემდეგ ეს წინამძღოლები აირჩევენ თავიანთი წრიდან მთავარ წინამძღოლს.

2) კერძო ხალხი თავს მოიყრის დანიშნულ პუნქტებში.

3) კერძო ხალხის ორგანიზაციას თავის თავზე იღებენ იუნკრები.

4) თითეულ კოლონაში ათ-ათი წყება იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5) კოლონები დაცილებული იქნებიან ერთმანეთზე პატარა მანძილით, რაზედაც იზრუნებენ წეს-რიგის დამცველნი.

6) ყველა კოლონები მწყობრათ წავლენ დანიშნულ ადგილისკენ.

7) დანიშნულ პუნქტებზე კოლონებს მწყობრათ დააწყობენ აფიცრები.

8) შესაჩერებელ ნიშნათ იქნება თეთრი ფლაგი, რომლის აწევის დროს ყველა ვალდებულია შეჩერდეს.

9) პროცესიის შეჩერება შეუძლიათ მხოლოდ ხელმძღვანელებს.

10) თითოეულ რაიონში ინიშნება სარაიონო მომწესრიგებელი, რომელსაც დანარჩენი მომწესრიგებელნიც დაემორჩილებიან.

11) პროცესიის წასვლის დროს ქუჩებში ყოველგვარი მოძრაობა სწყდება.

12) თუ ვინიცობაა ცუდი ამინდი იქნა, მაშინ დღესასწაული გადაიდება მეორე დღისთვის, რაც გაზეთებში გამოცხადდება.

მისალოცი წერილები.

თფილისის მუშათა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას. სალამი და დიდება ჩვენო ბუმბერაზო მოთავევ! გილოცავთ ტანჯული ხალხის განთავისუფლებას და გისურვებთ გაორკეცებული ენერგიით მოქმედებას განთავისუფლებული მუშათა კლასის გასათვითცნობიერებლათ.

ვაკის რაიონის მუშათა და გლეხთა საბჭოს და აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე

ს. სხივიშვილი.

მუშათა დეპუტატების საბჭოში.

23 მარტს, საღამოს 8 საათზე ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდა მუშათა დეპუტატების საბჭოს მორიგი კრება ევსევის თავმჯდომარეობით. პირველათ მოხსენება გააკეთა მანდატების შესახებ სამანდატო კომისიის წევრმა ა. დგებუაძემ. გამოირკვა, რომ 72 მანდატიდან მხოლოდ 48 მანდატი დაამტკიცა კრებამ, ხოლო დანარჩენებიდან ზოგს წინადადება მიეცათ ხელახლა მოახდინონ არჩევნები და დაიცვან არჩევნების ყოველივე მხარე, ზოგი კი სავსებით უარყვეს, რადგან ისეთი პროფესიიდან იყვენ არჩეული, რომელთაც არ აქვთ უფლება მიიღონ მონაწილეობა მუშათა საბჭოში. შემდეგ ამიერ-კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოების და აღმასრულებელ კომიტეტების დელეგატთა მომხდარ სიეზდების შესახებ მოხსენება გააკეთა ნ. ჟორდანიამ. მან აღნიშნა, რომ ორივე სიეზდზე იმავე ხასიათის რეზოლიუციები იქნა მიღებული, როგორც ჩვენ თფილისის მუშათა საბჭოში წინასწარ გამოვიმუშავეთ. კრებამ მოისმინა მოხსენება და უკამათოთ მიიღო. შემდეგი საკითხი იყო—შრომასა და კაპიტალის შორის ბრძოლის მოწესრიგება. ამის შესახებ კრებამ დაადგინა, რომ ყოველგვარი კონფლიქტები მუშებისა და ხაზეინების შორის უნდა მოწესრიგდეს და გადაწყდეს მომრიგებელი კამერების საშუალებით და ამით თავიდან აიცილონ უწესრიგო გამოსვლები და ზედმეტი კონფლიქტები. ამ მიზნით უნდა დაარსდეს ცალკე მომრიგებელი კომისია, რომელიც შეთანხმების საშვალებით გაატარებს სხვადასხვა მუშების ეკონომიურ მოთხოვნილებებს, როგორიც 8 საათის სამუშაო დღე და სხვა.

სარევოლიუციო დღესასწაულის შესახებ საბჭომ დაადგინა: ეს დღესასწაული გაიმართოს 25 მარტს. სადღესასწაულო ადგილათ ამორჩეულია სემინარიის გვერდზე მოედანი—ვაკე.

მილიციის შესახებ კრებას მოახსენეს, რომ აღმასრულებელ კომიტეტს გადაუწყვეტია ყველა უბნებში შექმნას განსაკუთრებული კომისია, რომელიც დაწვრილებით განიხილავს მილიციონერთა სიებს და აგრეთვე თვალყურსაც ადევნებს მათ მოქმედებას. კრებამ ეს გადაწყვეტილება მიიღო შემდეგი დამატებით: მილიციონერთა სია გამოქვეყნებულ იქნას პრესის საშვალებით, რომ საზოგადოებამ იცოდეს თუ როგორი ელემენტებიდან შესდგება მილიცია. დასასრულ—თავმჯდომარემ მოახსენა კრებას ქ. აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება, რომ ყველა ის პირები, რომლებიც სამხედრო სამსახურს გაურბიან, აუცილებლათ უნდა გაიგზავნონ ბრძოლის ველზე. ამასთანავე აღმასრულებელ კომიტეტს საჭიროთ დაუნახავს დაარსდეს განსაკუთრებული ცენტრალური ბიურო, რომელიც შრომას გაუადვილებს, როგორც მუშათა დეპუტატების საბჭოს, ისე აღმასრულებელ კომიტეტს.

როგორ იძარცვებოდა სოფელი ძველი რეჟიმის დროს.

დიდი-თონეთის საზოგადოება (თფ. მაზრ.).

15 მარტს თავი მოიყარა დიდი თონეთის ამორჩეულმა პირებმა და ანგარიში უყო ძველ მოხელეებს და აღმოაჩინა შემდეგი:

1) მამასახლის გრიგოლა შავერდაშვილს შეეჭამა სოფლის ფული 1224 მან. გადაახდევინეს სრულიათ.

2) მწერალ გიორგი ნემსაძეს სიყალბე (პადლოგი) ჩაედინა და ამით სოფლის 40 მანეთი მიეთვისებია. გადაიხადა სრულიათ და თან ჯარიმა—სულ 300 მანეთი სოფლის სასარგებლოთ.

3) „სბორჩიკს" ალექსი გოგიშვილს შეჭმული აღმოაჩნდა 110 მ. სოფლის ფული და 80 მან. ჩაფრებზე დაეხარჯა და ამასაც სოფელზე ანგარიშობდა. გადაიხადა სრულიათ 200 მან.

4) დათიკო ლონდარიძეს (სბორჩიკს) ძველი შეეჭამა 160 მან. და ახალი 15 მან. გადაიხადა სრულიათ 175 მან.

5) მიხა ბადალაშვილს (სბორჩიკს) შეჭმული აღმოაჩნდა 525 მ., გადაიხადა სრულიათ.

6) გიორგი შავშიშვილს შეჭმული აღმოაჩნდა ავგანეთის მამულის ფული 109 მ. გადაიხადა სრულიათ.

7) გლახა სულეიმანიშვილს (ძველი ნამამასახლისარი) შეჭმული აღმოაჩნდა და გადაიხადა 210 მან.

8) შაშა თაყნიაშვილმა (ნაცვალი) შეჭმული აღმოაჩნდა და გადაიხადა 300 მან.

9) გლახა ბადალაშვილმა (მოსამართლე) შეჭმული აღმოაჩნდა და გადაიხადა 140 მან.

10) სოლომონ შავშიშვილმა მაღაზიიდან გატანილი პურის ფული შეჭამა 125 მან. გადაიხადა სრულიათ.

11) ლევან შავშიშვილმა ძველი ჩაფრობის დროს შეჭამა 10 მ., გადაიხადა.

12) ივანე ბერუაშვილს მაღაზიიდან გატანილი პურისა შეეჭამა 70 მან. გადაიხადა.

13) ლევანა და სანდრო გოგიჩაიშვილებმა მაღაზიიდან გატანილი პურისა შეეჭამათ 61 მანეთი გადაიხადეს.

14) ტატო გოზალოვს, რომელიც სოფლიდან იყო არჩეული მოანგარიშეთ და ამ ერთი თვის წინათ ისეთი ანგარიში გვაჩვენა, თითქოს მამასახლისის ედებოდა ვალი სოფელს 70 თუმანი, ნამდვილათ კი მამასახლისს თითონ ემართა სოფლის, როგორც ეხლა გამოირკვა 1224 მანეთი, დააჯარიმეს 50 მანეთით.

15) გაბო იალუაშვილს (სბორჩიკს) დაედო 18 მანეთი—გადაიხადა.

16) ვანო პედლიძეს დაედო 20 მან. გადაიხადა.

17) ამდენ მოხელეებში წმინდათ გამოვიდა მხოლოდ ერთი კაცი—მიხა მუჯირიშვილი, რომელსაც სოფლის არაფერი დასდებია. ყველა ეს ფულები 3537 მანეთი ჩაბარებული აქვს სოფლის ამორჩეულ პირებს—გიორგი დემეტრაშვილს, მიხა მაჩაიძეს და ვართან თოროზოვს. **გიორგი დემეტრაშვილი.**

მე ვამბობდი.

მე ვამბობდი: დამაცადეთ, დრო დადგება სანატრელი,
ცის კარს სხივი დაამშვენებს... და გაჰქრება ღამე ბნელი!
მე ვამბობდი: ღამის შვილნო, ველურ ჰანგზე ნუ ხარხარებთ,
დრო დადგება, წუთის შვებას დილის სხივი წაგამწარებთ:
მე ვამბობდი: ნუ დაჰხარით სისხლის ჩქერს და ცრემლის ტბასა,
ნუ უმღერით ნორჩ სიცოცხლის ულმობელი ცელით მკასა!
თორემ ეგ ზღვა ტანჯვის ცრემლით აივსება, იწყებს ღელვას,
დაუბერავს ქარიშხალი და მოყვება მეხი ელვას!..
არ მისმინეთ! და ჰა სხივი, დილის სხივი, ვიშ ციმციმებს!
ფრთა შემასხა აღმაფრენამ, ბრძოლის ქნარზე ვაწყობ სიმებს!
და მივიწევ ზევით, ზევით... სულს იტაცებს მთის მწვერვალი,
საც ვით დროშა სიყვარულის წითლათ ბრწყინავს სხივთა ალი!
თუ კი ღამე ვერ მბორკავდა და ვერც რკინის ბორკილები,
დღეს ვის ძალუძს ქვეყანაზე, რომ შეჰკვეცოს ჩემს სულს ფრთები?!
გავშლი მძლავრ ფრთებს! ავალ მაღლა, შემოვძახებ ჩემს სიმღერას,
ციურ ქნარის იდუმალ ხმებს შევუერთებ სიმთა ჟღერას:—
აღსდექით, ძმებო! გადახედეთ აღთქმის მხარეს სანეტაროს!
დეე დროშამ, ძმობის დროშამ, მზის სხივებზე იელვაროს!
დეე დილის სხივთა ბრწყენას გადექსოვოს სულის შვება!
დეე ცას და ვარსკლავთ ემცნოს სიყვარულის გამარჯვება!
მე ვამბობდი: დამაცადეთ, დრო დადგება სანატრელი,
ცის კარს სხივი გააშუქებს... და გაჰქრება ღამე ბნელი.
ვამბობდი და აჰა სხივი, დილის სხივი, ვიშ ციმციმებს!
გმირებს ვუთხზავ ქებათ-ქებას, ბრძოლის ქნარზე ვაწყობ სიმებს!

ობოლი მუშა.

ნიკოლოზ მეორე და ვირუბოვა.

როგორც გადმოგვცემენ, ყოფილ მეფესა და დედოფალს ხშირათ ლაპარაკი მოსდიოდათ ხოლმე, მაგრამ გამარჯვებული მუდამ ყოფილი დედოფალი გამოდიოდა.

ნიკოლოზ მეორე ბოლოს ყოველთვის დაეთანხმებოდა ხოლმე, მაგრამ გუნებაში საშინელი ჯავრი მოსდიოდა და ხშირათ მთელი დღეობით აღარ ლაპარაკობდა თავის მეუღლესთან. დედოფალი ამას ხედავდა და იმითა ხსნიდა, რომ ქმარს მაზე გული გაუცივდა და ვირუბოვა შეიყვარა. ამის შესახებ თითონ ვირუბოვას დამ უთხრა დედოფალს და უკანასკნელიც დარწმუნდა, რომ სწორეთ ამ ნიადაგზე მოსდიოდათ ყოფილ მეფე დედოფალს უთანხმოება. ერთხელ—წარსულ იანვარში, როცა მეფე სადგომიდან დაბრუნდა, პირველათ მას შეხვდა ვირუბოვა. მეფემ ვირუბოვა გადაკოცნა. ეს დაინახეს ადიუტანტებმა, რომელნიც მეფეს ახლდნენ. შემდეგ ნიკოლოზმა საუბარი დაუწყო ვირუბოვას ფრონტზე მომხდარი ამბების შესახებ. ამ ამბავმა ისე გააბრაზა დედოფალი, რომ მთელი დღის განმავლობაში ქმარი აღარ უნახავს. ვირუბოვას შესახებ კი ფიცხელი განკარგულება გამოსცა, რომ თვალით აღარ ენახა ის სასახლეში, თუ გინდ მეფესაც, რომ დაერთოს ნება. მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ ვირუბოვამ საქმე ისე მოაჭახრაკა, რომ გაიმართლა თავი და დედოფალიც დაამშვიდა. არამც თუ დამშვიდდა, ბოდიშიც კი მოიხადა მის წინაშე. ამ ინციდენტის შემდეგ ნიკოლოზს ვირუბოვასთან სულ სხვანაირათ ეჭირა თავი, რომ არავის არაფერი შეენიშნა, მაგრამ მაინც ყველა ატყობდა, რომ ის გულგრილათ არ უყურებდა მას. რასპუტინმა, რომელსაც ყოველთვის გულახდილი ლაპარაკი უყვარდა, პირდაპირ უთხრა ერთხელ ვირუბოვას, რომ მას მეფესთან კავშირი აქვს. ვირუბოვა რასპუტინის ამ სიტყვებზე შერკთა, თითქოს ეს მართალი არ ყოფილიყოს, მაგრამ ვინც ნიკოლოზის და ვირუბოვას დამოკიდებულებას დაუკვირდებოდა, ადვილათ დაინახავდა რასპუტინის სიტყვების სიმართლეს.

რევოლიუციის დღეები პეტროგრადში.

(საკუთარი კორესპოდენტისაგან).

რუსეთის დიდი რევოლიუციის დასაწყისი, რომელიც გამარჯვებით დაგვირგვინდა 28 თებერვალს, შეიძლება ჩაითვალოს 14 თებერვალი. ამ დღიდან იწყება გაფიცვები რამოდენიმე ქარხნებში და უმაღლეს სასწავლებლებში. თვით პეტროგრადი და მთელი რუსეთიც ამ დღისთვის დიდ ამბებს მოელოდა, მაგრამ ეს დღე შედარებით წყნარად ჩაიარა, მხოლოდ ძველი მთავრობის მყუდროება დარღვეულ იქმნა სტუდენტების გამოსვლით და მათი დემონსტრაციით. შემდეგ მღელვარება და უკმაყოფილება თანდათან იზრდება. 23 თებერვალს კი რამოდენიმე ათასი მუშა ქალი და კაცი გამოდის ქუჩაშიდ. მათ, რასაკვირველია, წინ ეღობებათ პოლიციელები. 24 თებერვალს რამოდენიმე ასი ათასი მუშა მოაწყდა ყაზანის მოედანს. გამოსვლას დემონსტრატიული ხასიათი ჰქონდა. პოლიციელები რომ ვერაფერს გახდენ მოიწვიეს ყაზახთა რაზმი, მაგრამ თვითონ ყაზახები არავითარ სასტიკ ზომებს არ ღებულობდენ მუშების წინააღმდეგ პირიქით თავიდანვე კარგი განწყობილება ჩამოვარდა მათ შორის.

24 თებერვალს მუშებმა მიუხედავად სასტიკი წინააღმდეგობისა შესძლეს „ზნამენის" მოედანზე, ალექსანდრე მესამის ძეგლთან თავის მოყრა და მიტინგის გამართვა. გამოვიდნენ რამოდენიმე ორატორები, რომლებიც ამტკიცებდენ, რომ მათ გამოსვლას ეკონომიური ხასიათი არ აქვს, ისინი მოითხოვენ რუსეთის წესწყობილების ძირიან-ფესვიანათ შეცვლას, და მათ ნანგრევებზედ დროებით რევოლიციონურ მთავრობას და დამფუძნებელ კრების მოწვევას. ბოლოს ეფიცებიან ერთმანეთს არ უღალატონ საერთო საქმეს და სიცოცხლეც გასწირონ მის განსახორციელებლათ.

25 თებერვალს პეტროგრადში არ მუშაობს არც ერთი ქარხანა, არც ერთი დაწესებულება, სადაც კი მუშა ხელი არი საჭირო. ეს მუშათა არმია, არა ნაკლები სამასი ათასისა დაიძრა ქალაქის ცენტრისაკენ. ამ დღეს პირველათ დაიღვარა ადამიანის სისხლი, იგრიალეს თოფებმა და რამოდენიმე გამოასალმეს წუთისოფელს. მაშინ მუშებმა მოუწოდეს ერთმანეთს დაშლა და მეორე დღისთვის შეიარაღებული გამოსვლა.

26 თებერვალს დილიდანვე ზარბაზნების გრიალი ისმის, ეს მთავრობის მხრით დემონსტრაცია იყო, ამით სურდა, რომ დაეფრთხო მუშები, მაგრამ მათმა ცდამ ვერ გასჭრა. შუადღის 3 საათიდან ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში უკვე შეიარაღებული შეტაკებები ხდება. ამ შეტაკებებს უფრო პარტიზანული ხასიათი აქვს. საღამოს პირველად ამ რევოლიუციაში, სროლაზე უარი განაცხადა პავლოვის პოლკის მეოთხე როტამ, რომელიც იმ წამსვე დააპატიმრეს და პეტრე პავლეს სიმაგრეში გაგზავნეს.

თენდება 27 თებერვალი, ეს ისტორიული და დაუვიწყარი დღე რუსეთის დემოკრატიისა, ამ დღემ საბოლოოდ დასცა ძველი მთავრობა და გამარჯვება მოუპოვა რუსეთის რევოლიუციას. დილიდანვე მთელი პეტროგრადის გარნიზონი, ჟანდარმერია და პოლიციელები ფეხზე დგანან. იწყება ბრძოლა, პირველად ამ ბრძოლაში რევოლიუციონერებისაკენ გადადის და მხარს უჭერს მათ გვარდიის ორი პოლკი: ლიტოვისა და ვოლინის. ამ პოლკებმა და პავლოვის პოლკის მეოთხე როტამ მისცეს მაგალითი დანარჩენ ჯარს. 1 საათზედ ეს რევოლიუციონური არმია გაემართა თავრიდის სასახლისკენ და დაიკავა მთელი ეს რაიონი. 2 საათზედ სათათბიროში აცხადებენ დროებითი მთავრობას. აქ კი მოწამე ვიყავით ისეთი სურათის, რომელიც არასოდეს არ ამოიშლება ადამიანის მახსოვრობიდან. თავრიდის სასახლეს, სადაც ჯარს ეგებება ხალხის წარმომადგენლები, ერთი ბატალიონი მწობრათ, წითელი დროშებით და რევოლიუციონური სიმღერით უახლოვდება მას. მათ მიეგებათ დეპუტატები: ჩხეიძე, კერენსკი და სკობელევი. ჩხეიძის მისალმებამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ჯარის კაცებში და მაყურებელ საზოგადოებაში. მას უმართავენ დიდ ოვაციებს. სანატრელი წუთი არის, გამარჯვებულ რევოლიუციონურ არმიას გამარჯვებას ულოცავს ნამდვილი ხალხის შვილი, მისთვის თავდადებული, მათი წარმომადგენელი.

აქედან რევოლიუციონური არმია დაიძრა რუსეთის ბასტილიისაკენ, აიღეს პირველად ციხე „კრესტი" და გაანთავისუფლეს ყველა პოლიტიკური დასჯილები. რიცხვი რევოლიუციონერებისა საათობით იზრდება, მათ მხარეზედ გადმოდიან ტყვიისმფრქვეველთა და ჯავშნიანი ავტომობილთა რაზმები. 3 საათზედ რევოლიუციონერები დაეტაკენ არსენალს, აიღეს ის, მოკლეს უფროსი გენერალი, რომელსაც სურდა წინააღმდეგობის გაწევა და ამ რიგათ 4 საათზედ მთელი ხალხი შეიარაღებულია. იწყება ნამდვილი ბრძოლა, სასტიკ წინააღმდეგობას უწევს რევოლიუციონერებს გადაცმული ჯარისკაცთა ტანისამოსში პოლიციელები და ჟანდარმთა კორპუსი. საღამოს 6 საათზედ ეს უკანასკნელი იმედი მთავრობისა ძველი გვარდია პრეობრაჟენის და სემიონოვის პოლკებიც შეუერთდა რევოლიუციონურ არმიასა და დაიკავეს საზამთრო სასახლე. 5 საათიდან საშინელი სურათი არის. ტყვიის მფრქვეველების და თოფების გრიალი შეუწყვეტლივ ისმის, ხედავ დაჭრილებს, მკვდრებს, მიდიხარ ქუჩაში და ყოველ წამში სიკვდილს ელი, მაგრამ ამავე დროს ყოველივე უბედურება გავიწყდება, როდესაც გესმის მძლავრი, იმედიანი ხმა თავისუფლებისათვის მებრძოლთა. 5 საათიდან ქუჩებში მუშაობს სტუდენტებისაგან და უმაღლეს სასწავლებლების მსმენელ ქალებისაგან შედგარი სანიტარული რაზმები. ღამის 11 საათზედ მთელი პეტროგრადი ვასილიევის კუნძულს გარდა რევოლიუციონური არმიის ხელშია. ღამის 1 საათზედ შეიქნა საშინელი ბრძოლა კუნძულზედ. აქ მოიტანეს იერიში ჯავშნიან ავტომობილებმა. კუნძულს იცავდენ პოლიციელებს გარდა ფინლიანდიის პოლკი და მეზღვაურები. გათენებისას ეს ჯარისკაცები, რომლებიც მივიწროებულ იყვნენ კაზარმებისაკენ. მიატოვეს თავის კაზარმები და ურას ძახილით შეუერთდენ რევოლიუციონერებს.

ამ რიგათ 28 თებერვალს დილით პეტროგრადის გარნიზონი მუშებისაკენ იყვენ და გამარჯვებას დღესასწაულობდენ. წინააღმდეგობას სწევს კიდევ ჟანდარმერია და პოლიციელები, რომლებიც გამაგრებული იყვნენ სახლების სახურავებზედ და იქიდან ტყვიის მფრქვეველით უმასპინძლდებოდენ გამვლელ-გამომვლელს. 28 თებერვლის განმავლობაში ისინიც მოსპეს „პოზიციებიდან".

28 თებერვალს რევოლიუციონურ არმიას შემოუერთდა ყველა ის ჯარები, რომლებიც იმყოფებოდენ პეტროგრადის ახლო მახლო ქალაქებში და სოფლებში. ამ რიგად 1 მარტს არავინ მოწინააღმდეგე არ ყოფილა და გაზაფხულის პირველმა დღემ ჩაიბარა ახალი თავისუფალი რუსეთი.

ეხლა კი აქ სრული სიწყნარე და წესრიგი არის, ხალხში დიდი ენტუზიაზმი არის. დღეს ფინლიანდიიდან ჩამოვიდა ჩვენი დეპუტატი აკაკი ჩხენკელი. დუმაში და მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოში მას დიდი ოვაციები გაუმართეს. ის უკვე კარგად არის, 20 ამ თვეს გამოემგზავრება კავკასიაში.

სტ. მიხაკო ბაჟუნაიშვილი.

წერილი მოსკოვიდან.

(საკ. კორესპონდენტ.).

7 მარტს მოსკოვის უნივერსიტეტის ერთ ერთ აუდიტორიაში მოხდა მოსკოვის ქართველ კოლონიის საზოგადო კრება, რომელმაც იქონია მსჯელობა თანამედროვე პოლიტიკური მომენტის შესახებ, გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „მოსკოვის ქართველ მოქალაქეთა საზოგადო კრება საჭიროთ სცნობს სარევოლიუციო ბრძოლის გაგრძელებას, მოპოვებული პოზიციების შესანარჩუნებლათ და დასამაგრებლად. ამ ბრძოლაში ქართველი მოქალაქეები მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ. ქართველ მოქალაქეთა კრება სალამს უძღვნის დროებით მთავრობას და მხარს დაუჭერს, რამდენათაც იგი დაპირებულ პროგრამმას სინდისიერათ განახორციელებს. ამასთანავე კრება სალამს უძღვნის პეტროგრადის მუშათა დეპუტატების თავმჯდომარეს კ. ჩხეიძეს, როგორც საუკეთესო მებრძოლს რუსეთის და ქართველი ხალხის პოლიტიკურ თავისუფლების განხორციელებისათვის". ეს რეზოლიუცია წარდგენილი იყო სტუდ. დასელების მიერ.

ამავე კრებამ თავის წარმომადგენლად მოსკოვის დაწესებულებათა აღმასრულებელ კომიტეტში და ნაციონალურ ორგანიზაციათა კომიტეტში აირჩია ამხანაგი გაბრიელ ივანეს ძე ხუნდაძე. **იაკობ ვარძიელი.**

რევოლიუცია პროვინციაში.

დ. საჩხერე (შორ. მაზ.) ოთხშაბათს, 15 მარტს, საჩხერეში ადგილობრივ სასულიერო სკოლის ეზოში გაიმართა დიდი მიტინგი იმ ჩვენი ამხანაგების სულის მოსახსნებლათ, რომლებმაც ამ დიად საქმისათვის თავი შესწირეს პეტროგრადის ქუჩებზე. მიტინგს დიდი ხალხი დაესწრო, როგორც ადგილობრივ საჩხერიდან, აგრეთვე საჩხერის გარშემო სოფლებიდან. მიტინგზე მონაწილეობა მიიღო ქიათურის აღ. კომიტ. წევრმა იონა ბელიაშვილმა, რომელმაც მეტათ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა, ილაპარაკეს აგრეთვე მასწავლებლებმა და ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლემ მ. ნიკურაძემ. დასწრე საზოგადოებიდან ბევრმა იტირა ბელიაშვილის და იურკევიჩის სიტყვებზე. შემდეგ ხალხი გაიმართა დემონსტრაციით ქუჩაში, ამავე დროს გალობდა მოსწავლეთა გუნდი. დემონსტრაციით ხალხმა გაიარა ბაზარი და ჩავიდა სადგურზე, სადაც უმეტესი ნაწილი მოსწავლეები იყვნენ, აქაც ბელიაშვილმა წარმოსთქვა სიტყვა. მთელ დღეს დუქნები დაკეტილი იყო, მაგრამ ზოგიერთ ვაჟბატონ ხაზეინებმა მაინც ამუშავეს ამ დღეს ხელოსნები.

შალიკო ხვადაბუნელი.

ახალსოფელი. 19 მარტს აქ მოხდა სახალხო კრება. კრებამ განიხილა არსებული მომენტი და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: მზათ არიან მხარი დაუჭირონ დროებით მთავრობას რეაქციასთან ბრძოლაში. ამასთანავე გაუგზავნონ მას მისალმების დეპეშა. აგრეთვე ეცნობოს დეპეშით შემდეგი: გამოიცვალოს ძველი ადმინისტრაცია და გაიგზავნოს ფრონტზე. ზავის საკითხის გადასაწყვეტათ მოუწოდოს დამფუძნებელ კრებას საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით. შემდეგ კრებამ მსჯელობა იქონია წინა დღეებში დასახელებულ აღმასრულებელ კომიტეტის წევრთა შესახებ და საჭიროთ სცნო, რომ ამოერჩიათ წევრთა შორის აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელი და მისი თანაშემწე. ერთხმათ ამორჩეულ იქნა გ. კ. და მის თანაშემწეთ ი. ლ. ხალხს სურდა დროებით მთავრობის ერთგულებაზე ფიცის მიღება, მაგრამ „ფიცის ფურცლის" უქონლობის გამო ფიცის მიღება ვერ მოხერხდა, რისთვისაც ითხოვა ხალხმა, რომ საჩქაროთ გამოუგზავნოს თფილისის სამხრო კომიტეტმა ფიცის ფურცლები. ამასთანავე ხალხმა ითხოვა, რომ რაც შეიძლება ხშირათ გამოგზავნოს თფილისის კომიტეტმა რწმუნებული, რომელიც გააცნობს ხალხს დაახლოვებით აწმყოს და მომავალს. ბოლოს გ. ი. აუხსნა ხალხს თავისუფლებისათვის მებრძოლთა ღვაწლი და გმირობა, რის შემდეგაც კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა მათ ხსოვნას. შემდეგ ხალხმა დაავალა აღმასრულებელ კომიტეტს განეხილა რამდენიმე საჭირო საკითხი სოფლის შესახებ. კრება ნასიამოვნები დაიშალა. **გიორგი კალატოზიშვილი.**

ხიდისთავი გურია (სახალხო მიტინგი). 12 მარტს დილიდანვე იწყო ხალხმა დენა ყველა ახლო-მახლო სოფლებიდან. მიტინგს დაესწრო მრავალ რიცხოვანი ხალხი განურჩევლათ წოდებისა და სქესისა. კრებას ხსნის ადგილობრივი ს. დ. ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელიც ულოცავს ხალხს რევოლიუციის ბრწყინვალე გამარჯვებას და წინადადებას აძლევს თავმჯდომარე აირჩიოს. თავმჯდომარეთ ერთხმათ ასახელებენ მოქალაქე ემელიან ლომთათიძეს, რომელიც მოკლე, მაგრამ შინაარსიანი, სიტყვით არკვევს დღევანდელი მომენტის სიდიადეს და აშუქებს ყველა იმ მიზეზებს, რომლებმაც რუსეთის ხალხი მიიყვანა დღევანდელ გამარჯვებამდე. მოუწოდებს ხალხს ხელი შეუწყონ დღევანდელ დროებითი მთავრობას, რომ ძლევა-მოსილი რევოლიუცია მიყვანილ იქნას ბოლომდის. ხალხი მხურვალე ტაშით და „გაუმარჯოს" ძახილით აჯილდოებს მას. შემდეგ ლაპარაკობენ ორატორები: ლადიკო რამიშვილი, მირიან ბუკია, სერგო ბოლქვაძე, მირიან ჭანიშვილი და მღ. სილიბისტრო ჯაში. ყველა ორატორებს ხალხი ტაშის ცემით აჯილდოებს. მოქალაქე ლადიკო რამიშვილის ლაპარაკის შემდეგ კრებას მოახსენებენ ადგილობრივი ჟანდარმის კოწია ბერიძის დატყვევებას და კრებაზე მოყვანას. ამის შემდეგ კრება ადგენს: გაეგზავნოს მისალმების დეპეშა როგორც დროებითი მთავრობას, აგრეთვე მუშათა კლასის სათაყვანებელ ბელადებს: კარლო ჩხეიძეს და ნოე ჟორდანიას. დაბოლოს კრება ირჩევს ხელმძღვანელ კომიტეტს და წყნარათ იშლება.

15 მარტს დ. ხიდისთავში მოხდა მოსწავლეთა მანიფესტაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ყველა ადგილობრივი სასწავლებლების მოსწავლეებმა და მასწავლებლებმაც. დილის 10 საათზე მოსწავლეებმა თავი მოიყარეს ხიდისთავში, სადაც მათ მოკლე სიტყვით მიმართა ხიდისთავის უმაღლესი პირველდაწყებითი სკოლის ინსპექტორმა მოქ. ბურჯულაძემ, აუხსნა 15 მარტის მნიშვნელობა და ამ დღის საერთო დღესასწაულათ დაწესება დიადი რევოლიუციის მსხვერპლთა სახსოვრათ. შემდეგ წითელი დროშებით ხელში—მრავალი ხალხის თანხლებით ბავშვები „ჩვენ მსხვერპლი გავხდით"-ს გალობით გაემართენ დასავლეთით ქვენობნის ეკლესიისაკენ. გზაზედ მათ უერთდება მრავალი ხალხი, კერძო სახლების ფანჯრებიდან მოჩანს წითელი დროშები და მოისმის „გაუმარჯოს რევოლიუციას" ძახილი. ქვენობნის ეკლესიიდან მოსწავლეთა მანიფესტაცია გაეშურა ბასილეთის ორ კლასიანი სკოლისაკენ

და იქიდან კი ბრუნდება ისევ ხიდისთავში. საგულისხმოა, რომ თუ წინათ ბაზარში ყოველ დღე ხედავდით კარტ-ნარდის მოტრფიალეთ, მთვრალებს და ტყუილა უბრალოთ მოყიალეთ, ეხლა ასეთებს ალაგი აღარ აქვს და ვიმედოვნებთ, არც მომავალში ექნება, რაც სავსებით დაამტკიცებს ჩვენს მოქალაქობრივ მომწიფებას. **დ. წიფნაგვარელი.**

ს. მეტეხი. ხუთშაბათს, 16 მარტს, პირველათ შესდგა მეტეხის საზოგადოების გლეხთა დეპუტატების და აღმასრულებელი კომიტეტის საერთო სხდომა. განსახილველი იყო რამდენიმე კითხვა, რომლებიც შეეხებოდა შინაურ მართვა გამგეობას და წესიერების დამყარებას საზოგადოებაში. კრებამ ძველი მოსამართლეების ალაგას ახლები აირჩია, არჩეულთა შორის, და მათ მიენდო სამართლის წარმოება თანახმათ ახალი თავისუფალი წყობილებისა. მამასახლისის ფუნქცია გადაეცა აღმასრულებელ კომიტეტს. ლოთობის საწინააღმდეგო ზომათ კრებამ მიიღო სრულიად აკრძალვა მაგარი სასმელებით ვაჭრობისა, მხოლოდ აუცილებელ საჭიროების დროს ეძლევათ უფლება ყველას განსაზღვრული რაოდენობით იყიდოს ღვინო ოჯახში წასაღებათ. არყით ვაჭრობა აეკრძალოს ყველას მხოლოდ თვითეულ ოჯახს მიეცეს უფლება გამოხადოს იმდენი, რაც საოჯახოთ დასჭირდება, ვინც დადგენილების წინააღმდეგ წავა პირველათ 25 მ. იხდის, მეორეთ 50 მ. და მესამეთ დაპატიმრება მოელის.

რადგან ყოველგვარი წყობილება და მართვა გამგეობა აუცილებლივ ხარჯებს მოითხოვს, ამისათვის ყველას ევალებათ დაუყოვნებლივ გადიხადონ დროებით ადგილობრივ კომიტეტის მიერ სამართლიანათ გაწესრიგებული გადასახადი. რომელიც შეინახება ადგილობრივ საკრედიტო ბანკში და დაზოგვით იქნება დახარჯული საზოგადო საჭირო საქმეებზედ.

სასურსათო საკითხის შესახებ დაადგინეს: რადგან გარედგან პურნახულის და ფქვილის შემოტანა გაძნელებულია; ყველა იმ პირთ, რომლებსაც აღმოაჩნდებათ პურნახული იმაზედ მეტი, რაც საჭიროა მისი ოჯახის გამოსაკვებათ, ახალ მოსავლამდის ჩამოერთვას რეკვიზიციის სახით და გაიყიდოს მშიერ ხალხზე ბაზარზედ არსებულ ფასებით, რომელიც მიეცემათ პურნახულის პატრონთ. იმ პირთ, რომლებიც დამალავენ ანუ ფარულათ გაჰყიდიან, გადახდებათ ათი თუმანი ჯარიმა საზოგადოების სასარგებლოთ.

შინაურ წესიერების და მშვიდობიანობის დასამყარებლათ დაარსებულ იქნას სახალხო მილიცია, რომელიც საჭიროების დროს ვალდებული იქნება დაიცვას ხალხის ინტერესები, დაევალა ყველა სოფლის წარმომადგენელს გამონახოს შესაფერი პირნი და წარმოუდგინოს აღ. კომიტეტს, დეზერტირობის წინააღმდეგ დაადგინეს: მიეცეთ მათ წინადადება, რომ ისინი დაუყოვნებლივ დაუბრუნდენ თავიანთ მოვალეობას სამშობლოს წინაშე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასტიკი ზომები იქნება მათ წინააღმდეგ მიღებული, როგორც ხალხის მოღალატე პირებისა, დაარსდა აგრეთვე სარეკვიზიციო კომისია ხუთი კაცისაგან შემდგარი, რომელიც ჩამოართმევს ზედმეტ პურნახულს და ხალხზედ გაჰყიდის. ყველა გადაწყვეტილება ერთსულოვნათ იქმნა მიღებული კრების მიერ. ყველა მადლიერია ახალი მთავრობით და სიამოვნებით სთხოვენ რჩევას და იღებენ მათ გადაწყვეტილებას.

გ—ი.

რევოლიუციონური დღეები ტყიბულში. აქაც, ამ შავ ჯურღმულებშიაც მოაღწია თავისუფლების ხმამ. აქაც, ამ შავ ქვა-ნახშირშიაც შემოანათა ბრწყინვალე მზის სხივებმა, სუყოველი მხრიდან ჩამორჩენილი და დაბეჩავებული აქაური მუშებიც ებმიან საერთო ფერხულში და პარასკევს, 10 მარტს, მართავენ მიტინგს. მიტინგზე ყველა მუშები არ დასწრებიან, რადგანაც ღამე მუშაობა არ შეუჩერებიათ, დაესწრნენ აგრეთვე ჯარისკაცებიც. ლაპარაკობენ ქუთაისიდან ჩამოსული ამხანაგები და სხვადასხვა პარტიის ორატორები. ყველა ორატორი ერთხმათ მოუწოდებს ხალხს შეერთებისაკენ და წესიერების დაცვისაკენ. შემდეგ ორატორებმა ურჩია მუშებს—აერჩიათ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო. აქაურმა მოწინავე მუშებმა წარმოაყენეს სია, რომელიც კრებამ ერთხმად მიიღო. საღამოს 7 საათზე მიტინგი დაიშალა. ამავე ღამეს მოხდა მუშათა დეპუტატების საბჭოს კრება, რომელზედაც არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი და აღმასრულებელი კომისია. აგრეთვე დეპუტატთა საბჭომ ამ ღამეს იმსჯელა სხვადასხვა საკითხებზე.

ამავე დღეს მოხდა საწირის საზოგადოების კრება, რომელზედაც აირჩიეს დროებით აღმასრულებელ კომიტეტში თითო სოფლიდან თითო კაცი—სულ ექვსი.

მეორე დღეს მოხდა აგრეთვე მოვაჭრეთა და ტყიბულის ლიანდაგიდან საწირემდი რკინის გზის მოსამსახურეთა კრება, რომლებმაც აირჩიეს აღმასრულებელი კომიტეტი.

14 მარტს, საღამოს, ხმა გავრცელდა, რომ ხვალ, 15 მარტს, ასაფლავებენ რევოლიუციისთვის მებრძოლთა გვამებსო. მუშები იმ საღამოსვე მოვიდენ კანტორაში ამბის გასაგებათ. ამ დროს თფილისიდან მოგვიტანეს ჩვენი გაზეთი „აზრი“, რომელიც ხმებს ამართლებდა. იმ ღამესვე შეუდგენ მეორე დღისთვის მზადებას. ღამის მუშებმა შესწყვიტეს მუშაობა. დროშების მოწყობა იკისრა სიმონ ნიჟარაძემ. მეორე დღეს 15 მარტს მუშებმა მოყარეს თავი და დროშებით გაემართენ ეკლესიისაკენ.

რადგან ქუთაისიდან ამხანაგებს მოელოდნენ მუშები გაემართენ ტყიბულის სადგურისკენ. წესიერება საუცხოვოთ იყო დაცული, მღეროდენ მარსელიოზას. მატარებლის მოსვლისთანავე ხალხმა ერთხმათ შეიგრიალა „გაუმარჯოს თავისუფლებას“: ეკლესიაზე გადიხადეს პანაშვიდი. პანაშვიდის გადახდის შემდეგ გაიმართა კრება, რომელზედაც უნდა ელაპარაკნათ დღევანდელ მომენტზე. კრების თავმჯდომარეთ აირჩიეს მუშა ვ. ცქიფურიშვილი, მდივნათ ვ. დარსაძე. პირველათ ლაპარაკობს ამხ. ნიკოლაიშვილი ქუთაისის მუშათა საბჭოს სახელით და ულოცავს კრებას დეპ. აკაკი ჩხენკელის კომისარად დანიშვნას. კრებამ ცხარე ტაშით უპასუხა. შემდეგ ლაპარაკობს ნაც.-დემოკრატების სახელით ჩიხლაძე, რომელმაც პარტიული კითხვა წამოაყენა და საკითხს გადაუხვია. მან თავის სიტყვა იმით დაბოლოვა, რომ თითქოს ერთი პარტია ქართველებს საქართველოდან გადასახლებასაც კი უპირობსო. ხალხმა მოითხოვა, რომ ორატორი შეეჩერებინათ და თავი დაენებებინა ლაპარაკისთვის, მაგრამ ის მაინც განაგრძობდა. შემდეგ ლაპარაკობს დავით კლდიაშვილი, რომელიც მოუწოდებს ხალხს შეერთებისაკენ და პარტიული ბრძოლის უარყოფას ამ რევოლიუციის დაგვირგვინებამდის. ილაპარაკეს აგრეთვე სხვადასხვა ორატორებმა. სხვათა შორის ილაპარაკა მიხ. ბოჭორიშვილმა, რომელმაც მიმართა ხალხს შემდეგ ნაირად: ჩვენ დღეს შევიკრიბენით იმისთვის, რომ მოვიხსენიოთ ის ამხანაგები, რომლებსაც დღეს ასაფლავებენ და რომლებმაც თავი შესწირეს თავისუფლებას. მე წინადადებას გაძლევთ, რომ ფიცი დავსდოთ, არ ვუღალატოთ და უკანასკნელი წვეთი სისხლი დავღვაროთ ამ რევოლიუციის დასამთავრებლად. 3 საათზე კრება დაიხურა.

„ტყიბულელი ბეგი“.

დემონსტრაცია ჭიათურაში. 15 მარტი. მშვენიერი სანახავია ჭიათურის ქუჩები 15 მარტს. დილიდან სრული წესიერებაა ქუჩაში; არც ერთი მუშა სამუშაოთ არ გადის, ყველა სავაჭროები დაკეტილია, დილის 10 საათამდის აქ-იქ მხოლოდ სასადილო დუქნების ცალი კარი არის ღია, რომ მუშებმა პური სჭამონ. ეტყობა ჭიათურის მრავალ ტანჯულ მშრომელები ამ დღეს სადღესასწაულოთ ემზადებიან.

10 საათზე ჭიათურის მუშათა საბჭოს დეპუტატების კრებაა დანიშნული, რომ იმსჯელონ თუ დღევანდელ დღეს როგორ შეხვდენ, როგორ დაიცვან წესრიგი და სხვა. სანამ საბჭოს კრება შესდგებოდეს, ვაგზლიდან ვხედავთ გაღმა მრავალ მომავალ ხალხს, რომლებსაც წითელი დროშა აუფრიალებიათ და სარევოლიუციო სიმღერებით მოეშურებიან ბაზრისკენ, რომ თანახმათ მუშათა გაზეთ „ერთობის“ მოწოდებისა გამოვიდენ მათ საყვარელ ქუჩებზე და მიესალმონ პეტროგრადის ქუჩებზე დახოცილ მოძმეებს, ამის შემდეგ საჩქაროთ იკრიბება მუშათა საბჭო, რომ საერთო გეგმა დემონსტრაციის გამოიმუშავონ. საბჭოს კრებაზე მოკლე მოხსენებას აკეთებს ქუთაისის მუშათა საბჭოს წარმომადგენელი ტრ. სალაია, მომხსენებელს ესალმება საბჭო და მოხსენებას სავსებით ადასტურებს, კითხვა გადადის წესიერების აღდგენაზე, კრება ადგენს: წარმოთქმულ იქმნას სიტყვები თანამედროვე მომენტზე, გარკვეულ იქნას 15 მარტის დღის მნიშვნელობა, სიტყვების შემდეგ წითელი დროშის ქვეშ შამოიარონ ჭიათურის ქუჩები და ასე მშვიდობიანათ დაიშალონ. 12 საათზე საბჭოს კრება იშლება. საბჭოს წევრები გამოდიან სადგურის გვერდით, აქ მრავალ მუშებს მოუყრია თავი. მშვენიერი სანახავია ჭიათურის გამურულ ქუჩებზე გამოსული მუშები, სამუშაო ტანსაცმლებით, პირის სახე გამურული ქუჩის მსგავსათ, ჯერ ერთი დროშა ფრიალებს, ხალხი მოდის ყოველი კუთხიდან, ყველას შრომის ბეჭედი აზის პირისახეზე, ხალხი აღტაცებული გამოდის ქუჩებზე, ყველას რევოლიუცია აკერია პირზე, „არა, ან მოვკვდებით, ან თავისუფლებას შევინარჩუნებთ“—გაიგონებთ მუშების ხმას, დღევანდელი დღე დღესასწაულია ჭიათურაში, მაგრამ მუშებში მგლოვიარების სახეც სჩანს. რადგან დღევანდელ დღეს პეტროგრადში თავისუფლებისთვის დახოცილ მუშებს გაუთხრიან სამარეს.

ცოტა ხანი და უთვალავი ხალხი იყრის თავს, თერთმეტი დროშა ფრიალებს, ყველა დროშები შავებშია გამოწყობილი, აფრიალდება ერთი დროშაც უტრაუროთ, რომელზედაც აწერია „გაუმარჯოს საქართველოს“, მუშები შეხედვენ თუ არა, რომ დროშა სამგლოვიარო არაა წინადადებას აძლევენ შავი გაუკეთონ. დროშას ხსნიან.

მოზღვავებული ხალხი მოუთმენლათ ელის ორატორების გამოსვლას, აქვე სდგას მგალობელთა ხორო, მოწაფეების, მუშების და ნოქრებისაგან შემდგარი ბატონ კასრაძის ლოტბარობით. კრება იხსნება, თავმჯდომარეა გიორგი ს. ხუნდაძე, ის შინაარსიანი სიტყვებით მოკლეთ განმარტავს დღევანდელი დღის მნიშვნელობას და მოუწოდებს მიტინგს დაჩოქებით პატივი სცენ პეტროგრადში დახოცილ მუშებს, მრავალ რიცხოვანი მიტინგი მუხლს იდრეკს. 20 წუთი დაჩოქილია ხალხი. ამდროს განმავლობაში „საუკუნო იყოს“ გალობს გუნდი, ბევრ მუშებს ცრემლები სცვივა, მღელვარებაა. ტრიბუნაზე ადის მასწ. გიორგი ანთაძე, მშვენიერ სიტყვას ამბობს, მიუთითებს მუშებს დროშისაკენ, აღნიშნავს, რომ „თუმცა ვგლოვობთ, მაგრამ ამავე დროს ვდღესასწაულობთ. მოუწოდებს ფიცი დასდვას მუშებმა არ უღალატონ პეტროგრადში დახოცილ მოძმეების მოპოვებულ თავისუფლებას. „მსხვერპლათ დაეცი“—გაისმის მშვენიერი ხმა მომღერლებისა.

შემდეგ ლაპარაკობს მუშა ორატორი ხ. ზანაშვილი, რომლის მჭერმეტყველური სიტყვას აღტაცებაში მოყავს მსმენელები. შემდეგ ლაპარაკობს ქუთაისის მუშათა საბჭოს წარმომადგენელი, რომელიც ქუთაისის მუშების სახელით მიესალმება მიტინგს. ლაპარაკობს აგრეთვე აფიცერი კიკილაძე, თავისუფალი მოქალაქე სოფონოვი (რუსულათ), მასწ. კავაძე, ვაშაძე და ღამბაშიძე მღვ. ბარათაშვილი. უკანასკნელი ორატორი აღნიშნავს: სხვებთან ერთად სამღვდელოებაც მშრომელებია, ეხლავე უნდა გადაწყდეს სამღვდელოების დამოკიდებულება ხალხთან, გაუმარჯოს მშრომელ ხალხს და მშრომელ მღვდლებსო. ხალხში მოძრაობაა.

ამის შემდეგ დაიძვრის პროცესია; მუშები ხელი-ხელში გამოდებული წესიერათ მიდიან, წინ მიუძღვის დროშები და მგალობელთა გუნდი სარევოლიუციო სიმღერებით, შემოივლიან ჭიათურის ყველა ქუჩებს, წინ მიუძღვის საბჭოს წევრები და წესიერებას იცავს. უკანასკნელათ პროცესია მიდის ტრიბუნასთან, თავმჯდომარე ერთხელ კიდევ მიმართავს ხალხს, მიუთითებს დროშებისაკენ და ამბობს: ეს დროშები სიმბოლოა სიყვარულის, ეს დროშები ნიშანია ბრძოლისა და მოერიდეთ მას, შეინახეთ სუფთათ და უადგილო ადგილას ნუ მიაგდებთო. კრება იხურება, დახურვისას გამოაქვს კრებას რეზოლიუცია: მიესალმონ აკაკი ჩხენკელს მის კომისარათ დანიშვნის გამო. ხალხი მშვიდათ კმაყოფილი იშლება.

აღსანიშნავია ეს დღეს ჭიათურაში, სალამი ჭიათურელ მუშებს. **მაიდნელი.**

გაზეთის სასარგებლოთ.

ჯუმათი. სალამს ვუძღვნით დემოკრატიის მედგარ დამცველ „ერთობის“ რედაქციას. ამასთანავე გიგზავნით გაზეთის ფონდისათვის შევროვილ 30 მან. 5 კაპ. შემომწირველთა სია: მასწ. მგელაძემ 5 მან.; თითო მანეთი: მასწავლებელმა ქეთევან მგელაძემ, მასწ. მაქსიმე ღლონტმა, მღ. ირაკლი აბხაზავამ, გიორგი სარჯველაძემ, ბაბინე ჩხაიძისამ, მღ. ერმილე აბხაზავამ, გაბრიელ მაწკავამ, სერგია ტულუშმა, პლატონ ჩხარტიშვილმა, ალექსანდრე ცქირია, ივანე ანთაძე, ნიკო ტულუში; ზოსიმე თაგაძე; აპოლონ მურვანიძემ 3 მან. პავლე ბესალია 2 მ.; ათ ათი შაური: რამენია აბხაზავა, ბარნაბ გოგიჩაიშვილი, მელქისა გოგუა, ბიქტორ დარჩია და სტეფანე ნიკოლაიშვილი, ბესარიონ მესრაფეშვილი; ონისიმე გუჯაბიძე 30 კ; ხუთ-ხუთი შაური: მიხაკო აბხაზავა, ივანე აბხაზავა, მოსე რუსიეიშვილი, ყარამან რ. ტულუში 3 მ.

მონდობილობით **ყარამან ტულუში.**

—

პლატონ გადილიასაგან 3 მანეთი.

—

მიიღეთ ჩემი წვლილი სამი მანეთი მუშათა ინტერესების დამცველ გაზ. „ერთობის“ სასარგებლოთ. დღე იარსებოს მუშათა კლასის მოსარჩლემ. „ერთობამ“ დიდი სამსახური გაუწია რევოლიუციას. გაუმარჯოს „ერთობის“ იდეალებს და მის თანამშრომლებს.

ჯ. კ. უფროსი უნტერ-ოფიცერი **დავით გიორგის ძე ზარქუა.**

—

სადგური კივრაგი. ვუსურვებთ ხანგრძლივ არსებობას მუშათა ინტერესების დამცველ გაზეთ „ერთობას“. გიგზავნით მცირედ წვლილს. შემომწირველთა სია. თითო მანეთი: ნიკოლაი გოლუბიევი, პასიკო სამსონაძისა, კონდრატი კიწურაშვილი, იოსებ ნაზარაშვილი, ნოე ბზეკალავა, სამსონ ურიათყოფელი; ათ-ათი შაური: არაკლი შათირიშვილი, ოქროპ. ოკვინიტაძე, სერგო სამსონაძე. სულ 8 მ. 50 კ.

მონდობილობით **რაფიელ სამხონაძე.**

—

პოლიტიკურ გადასახლებულთა სასარგებლოთ ნიკო გურულისაგან მივიღეთ 10 მ.

წერილები რედაქციის მიმართ.

უმორჩილესათ გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშვალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო ყოფილ წევრს ს. გორდის უფასო სამკითხველოსი პანტელეიმონ კვარაცხელიას, რომელმაც ბრძოლის ველზედაც არ დაივიწყა თავის დაჩაგრულის მოძმენის სულიერი საკვების საკითხი, რისთვისაც მისგან გორდის უფასო სამკითხველოს გამგეობამ მიიღო თავისი მეგობრებისაგან შემოწირული წვლილი ხსენებულ სამკითხველოს სახრის გასამაგრებლათ და მასაში თვით ცნობიერების გასავრცელებლად. შემომწირველთა სია: ოთხი მანეთი პანტელეიმონ კვარაცხელიამ. სამ-სამი მანეთი: გრიგოლ მიხეილის ძე ჭავჭანიძემ, თავად სევერიანე გიორგის ძე დგებუაძემ, გიორგი ფურცელაძემ, მიხაილ ჭავჭანიძემ, ორორი მანეთი: სიმონ კვერკველიამ, შალვა ჩხეიძემ. თითო მანეთი: ლევან ყუფუნიამ, კოწია გადილიამ, მიხაილ ჩიხლაძემ, ესტატე ჯინორიძემ, მოსე კოპლატაძემ, პილატე ახალაძემ, თეოფილე ჩიქოვანმა, იონა ჯოჯუამ, სიმონ ზარკალიამ, დავით ტყებუჩავამ, ერტომ ლამარტყავამ, ისაკი ჩიჩუამ, ნიკო კვარაცხელიამ ნ. კვერენჩხილაძემ, ვლადიმერ ჩარკვიანმა, ვანიჩქა რევიშვილმა, ვლადიმერ ავალიანმა, ჯიმშე შერძნიშვილმა, გერასიმე მაშავამ, ევგენი ქარუმიძემ, ივანე ციმაკურიძემ, ივანე მიქავამ, ვასო სიმონოვმა, ილიკო მარგველაშვილმა, ალექსანდრე დევიძემ, კოტე მარკოზაშვილმა, ფილიმონ ჩიქავამ, ანტონინა დავით შელიას ასულმა, ბესარიონ ეზუსმაიამ, იაკობ შელიამ, მოსე ჩივაშუამ, ივანე ბოჭინაშვილმა, ვლადიმერ შუბაევიჩმა, ვანო პარეხოვმა. ერთი შაური: პავლე ჩაბრავამ. ყველა ეს შემოწირული ფული მიიღო პანტელეიმონ კვარაცხელიასაგან ს. გორდის უფასო სამკითხველოს გამგეობამ.

პატივ. წევრი გორდის უფასო სამკითხველოს **ვლადიმერ გრიგორის ძე ჩიხლაძე**

უღრმეს მადლობას ვსწირავთ ექვთიმე ანტ. კოპლატაძეს და ყველა იმ პირებს, რომლებმაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი ბასილეთის ახ. ალ. სამკითხველოს სასარგებლოთ. შემომწირველთა სია: ხუთი მან. ა. კოპლატაძე. ი. საგანელიძე, სამი მანეთი: ქ. შარაშიძე, თითო მანეთი: ხ. მანჯგალაძე, გ. მ. კორძაია, ლ. თავბერიძე, ი. მ. ქლენტი, გ. დინარაძე, ი. ნაკაშიძე, ს. ახვლედიანი, თ. ქარცივაძე, И. Махмедъ Огли, А. Мишковъ, პ. რ. ცქვიტიშვილი, ვ. გ. ლვანკითელი, ა. შ. საგანელიძე, გ. დარახველიძე, არ. ციხისელი, თ. თავგორაშვილი, ათ-ათი შაური: ვ. კოკოშაშვილი, თ. ჯინჭარ. ის. საბარე. ვ. თავბერიძე, ზ. ცენტერაძე, ა. ჯაბუა, ს. თავბერიძე, პ. მიქაშავიძე, ა. ქავთაძე, ა. ბერიძე, ბ. კობახიძე, ს. მეტრეველი, მ. მარიამიძე, ვ. სიხარულიძე, ი. გოცირიძე, შ. ბოლქვაძე, ნ. გელაძე, ი. ქოჩლაძე, კ. ჩხიკვიშვილისა, თამარა ჩხიკვიშვილის ასული, ანდრიაძე, ს. ჯოხაძე.

ბ. სამ. კომისიის მონდ. **გრიგოლ კოპლატაძე.**

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშვალებით მადლობა გამოუცხადოთ ჯარისკაც ბ. პეტრე გულუას, რომელმაც შეშოწირა ხაბუმის სახალხო სამკითხველოს დასაარსებელ ფონდს 36 ან. და 24 კაპ. მასთან პატივი გვაქვს განვაცხადოთ ხაბუმის რაიონის იმ შვილების საყურადღეოთ, რომელნიც დროებით თუ სამუდამოთ ცხოვრობენ ამა თუ იმ დაბა ქალაქებში, ხაბუმეში განზრახულია სახალხო სამკითხველო დაარსდეს, ნებართვის მიღებისათვის ზომა მიღებულია, სადაც ჯერ არს. სამკითხველოს დასაარსებელი ფონდისთვის, პირველი შემოწირულება მიღებულია სოფრომ შენგელიასაგან 100 მან. კიდევ 20-სა თებერვალს მივიღეთ ბ. პეტრე გულუასაგან 36 მან. 24 კაპ. იმედი გვაქვს, სხვა ამხანაგებიც მიბაძავენ მათ და ხელს შეუწყობენ მატერიალურათ ამ ფრიად კულტურულ საქმეს.

პატივისცემით სამკით. **გამგეობა.**

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშვალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ ბ. რაჟდენ ლუკას ძე სიხარულიძეს, რომელმაც ს. ციხის სამკითხველოს სასარგებლოდ შეკრიბა კარაკლისში თავის ნაცნობების შორის 80 მან. და 6 კაპ. მადლობას ვსწირავთ იმ პირებსაც, რომელთაც ამ დაწესებულებისათვის არ დაიშურეს თავიანთი წვლილი.

შემომწირველთა სია: რაჟდენ ლუკას ძე სიხარულიძე 10 მ., კალანდაძე იაგორ სიმონის ძემ, ცეცხლაძე ლეონტი მიხეილის ძემ, გურგენიძე ეზეკი ივანესძემ ხუთ-ხუთი მანეთი, გურგენიძე სიმონ მელქონის ძემ, კალანდაძე იაგორ ესტატეს ძემ, კალანდაძე მიხაკო მაქ., ხომერიკი მირიან, ნემსაძე ვასო, კარსლოვი თედორე, ჭანჭავიძე პორფირე, ბესარიონ გორდელაძემ სამ-სამი მანეთი: ყიასოვი ზაქრო, ქლიბაძე არჩპო, ლოტაევი ტიგრან, სიხარულიძე გიორგი ექვთიმეს ძე, სიხარულიძე სარდიონ, შევარდნაძე გიორგი, დ. ლ. კრანელი ორ-ორი მანეთი, სიხარულიძე იონა ან—სძე 2 მ. 5 კაპ. ვანიძე ირაკლი ელისბარის ძე, სვანიძე ირაკლი ბესარიონის ძე, ახობაძე გრიშა, კეჟეყმაძე ნესტორ, აზაროვი ნაზარ, ლაბაძე ვიკტ., ქლიბაძე მელ., გაზარიანცი არტურ, გარდაფხაძე ალექსანდრე, შალამბერიძე პლატონ—თითო მან. მიქელაშვილი ალიოშა 1 მან. 51 კაპ. მარჯანიშვილი [illegible] ჩაჩანიძე დავით, გელფანიძე [illegible] შაური.

პატივსცემით ს. ციხის უფასო წიგნთსაცავ სამკითხველოს **გამგეობა.**

ჩვენი ფოსტა.

ერევანი. მაქსიმე კუხალეიშვილს. სხვა გაზეთის გამოწერას ჩვენ ვერ ვიკისრებთ, მიმართეთ პირდაპირ მათ. თქვენი ხუთი მანეთი რედაქციაში ინახება.

პეტროგრადი. სტ. მიხაკო ბაუუნაიშვილს. მოგვაწოდეთ დაჩქარებით მანდაური ამბები.

ჩხარი. ლევან კორტს, მიმართეთ ქუთათურ ამხანაგებს.

რედ.-გამომცემელი **მღ. მ. ბოხოხაძე.**

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგან ავათმყოფობა ჭლექისა და გულის. იღებს ახალ რენდგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გასინჯვა და წამლობა სხივებით, აგრეთვე ყველანაირ ჭლექის წამლობა და ელექტრონით წამლობა: თავისუფშიევნის, —ტიპით. დიდი სალინოიდი **სპეციალური** მიოეზა და **არსონვალის ტოკითა ფილტვების ავადმყოფობისთვის, გულისთვის, არტერიოსკლეროზისთვის** და აგრეთვე მაგარის ჭკებბის, სისხლ ნაკლებობის, უძილობის, **ნევრადგეიისთვის.** შერსემულის ტვინის ავადმყოფობის ასთმის, ბუასილი, და რევმატიზმისთვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5—7ს-მდე. **მისამართი:** ბებუთოვის ქუჩა № 23. ტელეფონი 7—92.

ექიმი კ. ი. ვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.
ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთ ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი ივანე თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ძ. ქ უ თ ა ი ს შ ი.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს **ბავშვთა** და **შინაგანი** სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. თფილისის ქუჩა: გოკიელოვის სახლი.

ქ უ თ ა ი ს ი

ექიმ გ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავამყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 ღ. საათამდე

თუთუნის ქარხანა

ამხ. „კ ო მ ე ტ ა“-ში

საჭიროა ახალგაზრდა მუშა-ქალები.

Тифлисъ, Авчальская площадь № 8.
3—1

მიიღებულია ფრანგული აბრეშუმის

თესლი ცნობილი ფირმის **ბერტუხი**

საკუთარ შეკვეთის თანახმათ

ოთხკუთხ კოლოფებში.

ფრანგული სამეურნეო დროშით და შავი არშიათ ყვითელ ფონზე.

მიმართეთ ტ. ს. მარიანიძე: თფილისი გოლოვინის პრ. № 8.
ტელეფონი 13—58.
დეპოში არის: **ტიგრან მირზოიანის თფილისში.** 10—1

კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებაში

ბარიატინის ქ. № 5, ალექსანდროვის ბაღი იყიდება საუკეთესო, ჰავას შეგუებული

აბრეშუმის ჭიის თესლი

ცნობილი სისადგე. ყვითელი ფრანგული. კონტროლი გაკეთებული აქვს ჭიკ. საბრეშუმო სადგურში, ფირმა

დ. დ. დეკანოზიშვილისა.

100 მისხალზე მეტის მსურველმა მიმართონ მაშინ ი საკუთარ ბინაზე (ოლგინსკაია № 26).

უპირატესი საჭურველი კავკასიაში

ნ. ი. ლოზოფაკი

თფილისი, ოლღის ქ. № 3, შიდამორია დიდი მარაგი ევროპიული ნაწარმისა. არის ნახმარი ევროპიული პარჯის და ლეპტის საერთო 50 ცხ. ძალისა, ოჩელა 35 ცხენის ძალისა, დაჯგეით 30 ცხ. ძალისა, რუსულ-ბოლოის ძრახსისა 22 ცხ. ძალისა 3—1